საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეული სიფცვაა, ფაქიზებით და ჭიანებით ბუჩთის გაფანა ყველა უკარისიბაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 12 მარტი. 2016 წ. №46 (7938), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

◎ დედა-უნივერსიტეტი ②

პრემიერის გონივრული პოზიცია ყველა მხარისთვის მისაღები უნდა გახდეს!

◎ SIC! SIC! SIC! ④

ჩრდილოელი დათვი რომ არ გაღიზიანდეს?

◎ ენგურს გაღმა-გამოღმა ⑤

სოხუმელი ჟურნალისტი ელეონორა გილოიანი

„მაღლობა, საქართველო!“

◎ სოციალური თანასწორობა ⑨

მსოფლიოს ნაცრისფერი ცუნამი ემუქრება...

ყვითელ ხაზით

„პრეზიდენტის კატა“ და პარალელები

თავმოყვარე ნაგაზი და უთავმოყვარეო „ძალად მაცხონე“ განცმოძრაობელები

ამას წინათ ჩემმა უფროსმა მეგობარმა და კოლეგამ, შესანიშნავმა ლიტერატორმა და ქართული სიტყვის მოამაგემ გურამ გოგიაშვილმა ერთი წიგნი მომიტანა – ვიცი, კითხვაც და ამ წიგნის ავტორიც თითქმის ერთნაირად რომ გიყვარს, ამიტომაც წაიკითხე, დიდებული რამეაო.

წავიკითხე და დავეთანხმე – მართლაც ჩინებული წიგნი გამოდგა. ისე თვალმოუცილებლად, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე ეს რომანი, როგორი „ერთი ზალპითაც“ გადაყლურწავენ ხოლმე ლოთები გალიცლიცებული „მალენკოვის“ ჭიქიდან არაყს.

ცნობილი მწერლის, შესანიშნავი მოქალაქისა და პატრიოტის, მრავალი დადებითი პიროვნული თვისებით განგების მიერ უხვად დაჯილდოებულ გურამ ოდიშარიას რომანზე მოგახსენებთ – „პრეზიდენტის კატაზე“...

იხ. 6 გვ.

წინ, საქართველო!

ხინჩეგაშვილს – „ოქრო“, მაქარაშვილს – „ბრინჯაო“

ლატვიის დედაქალაქ რიგაში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი.



61 კილოგრამ წონით კატეგორიაში გორელმა ფალავანმა (მწვრთნელი ნუგზარ სხირელი) ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია: ჯერ მაკედონიელ იასინ რედიალარის მოუგო სუფთად (10:0), შემდეგ სომეხი ვალოდია ფრანგულიანი ჩამოიშორა გზიდან (5:0), ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ჰაჯი ალიევს აჯობა (4:2), გადამწყვეტ პაექრობაში კი ბელარუსი ჰეორჰი კალიიეუ დაამარცხა (6:1) და ოქროს მედალი მოიპოვა.

74 კილოში იაკობ მაქარაშვილმა პირველივე ორთაბრძოლა დათმო (0:5) აზერბაიჯანელ ჯაბრაილ ჰასანოვთან, მაგრამ ჩვენი მეზობელი ფინალში გავიდა (იქ თურქ სონერ დემირთაშთან ვერაფერს გახდა და მეორე ადგილს დასჯერდა) და ქართველი ფალავანი დამამშვიდებელ ჯგუფში გაიყოლია. იქ მაქარაშვილმა უკრაინელთა სახელით მოჭიდავე გია ჩიხლაძეს მოუგო – 10:0, მერე ბულგარელი მიროსლავ სტეფანოვი აკოტრიალა (10:0) ხალიჩაზე და მესამე ადგილზე გავიდა.

ლექსო ციწცაძე.

დღეს ბელგიას შეკვდებით...

თბილისის სპორტის ახალ სასახლეში ხვალ დამთავრდება მსოფლიოს და ევროპის ხელბურთის ფედერაციების (IHF/EHF) ქალთა თასის გათამაშება. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში 1997 წელს და უფრო გვიან დაბადებული გოგონებით დაკომპლექტებული რვა გუნდი ჩაება, რომლებიც წილისყრით ორ ჯგუფში გადანაწილდნენ.

A ჯგუფში შესანიშნავად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა (ანა ვარდიაშვილი, ქრისტინე ჯავახია, მარიამ ჩაჩუა, თინათინ ქიტესაშვილი, თათია გადელია, ქრისტინე ღვალაძე, თამარ ჩოგოვაძე, მედეა ჩოხელი, ქეთევან ვენეკაია, ანა ყველაშვილი, ჯულია ჩირგაძე, ქეთი კუნელაშვილი, მაია ბერიძე, მარიკა ჯავახაძე, მთავარი მწვრთნელი გიორგი გვაზავა, მწვრთნელები: ოლექსანდრ გურსკი, ინა ჭკუასელი, ამირან კომახიძე). ჩვენმა გოგონებმა პირველ მატჩში იოლად სძლიეს კვიპროსის გუნდს - 33:10, მეორე ტურში ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი ლატვიელები დაამარცხეს– 31:25, ხოლო ბოლო ჯგუფურ შეხვედრაში ალბანელებს აჯობეს – 44:6, მოაგროვეს ქულათა მაქსიმუმი და ბალტიისპირელებთან ერთად ნახევარფინალში გავიდნენ.

A ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: საქართველო – 6 (108:41), ლატვია – 4 (104:49), კვიპროსი – 2 (68:67), ალბანეთი – 0 (10:133) ქულა.

B ჯგუფში პირველი ადგილის ბედი ბოლო ორთაბრძოლამ გადაწყვიტა: ფარერების წარმომადგენლებმა ბელგიელებს 21:14 მოუგეს და ისინიც ქულათა მაქსიმუმით მოექცნენ გათამაშების ცხრილს სათავეში: ფარერები – 6 (92:38), ბელგია – 3 (81:52), ესტონეთი – 3 (76:56), სომხეთი – 0 (26:129) ქულა. მეოთხე ნახევარფინალისტი ბელგიასა და ესტონეთს შორის ბურთების სხვაობამ გამოავლინა, რადგან ისინი მე-2 ტურში დაზავდნენ.

შეჯიბრების მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ. დღეს ნახევარფინალში საქართველო ბელგიას დაუპირისპირდება, ხოლო ლატვია ფარერებთან გაარკვევს ურთიერთობას. ხვალ კი ფინალია, რომლის გამარჯვებული 2017 წელს ინტერკონტინენტალური თასის გათამაშებაში იასპარეზებს.

ლაშა დიდია.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

პრემიერის გონივრული პოზიცია ყველა მხარისთვის მისაღები უნდა გახდეს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაძაბულობა მატულობს, ახალგაზრდები გამოთქვამენ პროტესტს კანცლერის პოსტზე წარდგენილ კანდიდატურასთან დაკავშირებით.

ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტია უმაღლეს სასწავლებლებში მმართველობის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ესკალაციის ფონზე გაჩნდა გარკვეული ეჭვები ხელისუფლების მხრიდან პროცესში ჩარევის კუთხით, მინდა, ვთხოვო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ვლადიმერ პაპავას, მაქსიმალურად უზრუნველყოს პროცესის დამოუკიდებლობა და

არჩევნების პროცესის გამჭვირვალობა; ასევე, მინდა, ვთხოვო საბჭოს წევრებს, რომლებიც მხარს უჭერენ გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურას და თავად გიორგი გაფრინდაშვილს, გაითვალისწინოს არსებული სიტუაცია და, ახალგაზრდებს შორის რაიმე სახის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, საკუთარი კანდიდატურა არჩევნებიდან მოხსნას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენთვის ყველასთვის სათაყვანებელი ცოდნის ტაძარია. ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენი მხრიდან რაიმე სახის ძალისხმევა დავაკლოთ ახალგაზრდებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილებას.

გიორგი კვირიკაშვილი სალომე ზურაბიშვილს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა პრემიერს საკუთარი ინიციატივა გააცნო, რომელიც „მოქალაქეობის შესახებ“ კანონსა და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. კერძოდ, სალომე ზურაბიშვილის მოსაზრებით, საქართველოს მოქალაქეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად აღარ უნდა შეუწყდეს, როგორც ამას დღეს ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს.

მისივე შეფასებით, ეს ევროპულ ქვეყნებში მიღე-

თოფაძე რესპუბლიკელებს ჯერ აფრთხილებს, მერე...

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე მოითხოვს, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრებმა დაიცვან პრემიერთან შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმება, დაპირისპირების შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თოფაძის თქმით, ბევრ მასალას გამოაქვეყნებს, რომელიც „რესპუბლიკელებს“ არ მოეწონებათ.

„ჩვენ როგორც პრემიერთან შევთანხმდით, შევწყვიტეთ კამათი, მაგრამ უკვე რამდენიმე მაგალითია როცა ისინი აგრძელებენ გამომწვევი განცხადებების კეთებას. მათ შორის ქალბატონი მინისტრიც. ცოტას ალბათ კიდევ მოვითმენთ — ჩვენ არ ვაკეთებთ რეაგირებას

პატარ-პატარა კბენებზე, მაგრამ თუ ზღვარს გადავლენ, იმდენ რამეს გავახმოვანებთ და იმდენი მასალა შეიძლება დავდოთ პრესაში და ტელევიზიაში, რომ ალბათ არ დარჩებიან კმაყოფილები“, — განაცხადა მრეწველების ლიდერმა გუშინ „არგუმენტების დროში“.

ბანკის ვალების ჩამოწერა „თავისუფალ დემოკრატიულად“

ბანკების მიერ გადახდისუუნარო მსესხებლებისთვის ვალების ჩამოწერის თაობაზე „თავისუფალმა დემოკრატებმა“ „საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების ინიციატივა პარლამენტში უკვე დაარეგისტრირეს. აღნიშნულ ინიციატივაზე განმარტება პარტიის წევრმა, კანონპროექტის ავტორმა დავით ონოფრიშვილმა გააკეთა.

„ფინანსური ინსტიტუტების მიერ, ფიზიკური პირებისთვის სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიღებული სარგებელი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდება (მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული თანხა ფიზიკური პირისთვის შემოსავალს წარმოადგენს, რაც გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება). არსებული მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტების მიერ, ამგვარი სესხების ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას ან უიმედო ვალად აღიარებას გარკვეული პროცედურები და ხარჯები სჭირდება, ხოლო პატიების შემთხვევაში, ნაპატიები სესხი კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება. ჩვენი ინიციატივით ბანკები ამ გადასახადისგან გათავისუფლდებიან, რაც უიმედო ვალების აღიარების სტიმულირებას მოახდენს. კანონპროექტით, სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირება ხდება და კომერციულ ბანკებს უფლება ენიჭებათ საკუთარი, შიდა კრიტერიუმების მიხედვით, ფიზიკურ პირებს ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხები ჩამოაწერონ“, — განმარტა ონოფრიშვილმა.

დეპუტატის თქმით, მოსახლეობას სესხების გასტუმრებაში პრობლემები 2008 წლის ომმა, ფინანსურმა კრიზისმა შეუქმნა და არც შემდგომი წლები იყო ამ თვალსაზრისით მარტივი.

თავისუფლებას დრანდის ციხეში ჯდომა ამჯობინა

სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ქართული მხარის მიერ, ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმის პატიმრობიდან გათავისუფლებაზე ერთმა ქართველმა უარი თქვა. „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, პატიმარმა მხოლოდ ენგურის ხიდზე გაიგო მოლაპარაკების პირობების შესახებ და მისი კატეგორიული მოთხოვნით, დრანდის ციხეში დააბრუნეს.

წყარის ინფორმაციით, გათავისუფლებულ პატიმრებს ენგურის ხიდზე აცნობეს, რომ მათ სამუდამოდ ეკრძალებათ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა, რაც გახდა ერთ-ერთი პატიმრის მოთხოვნის მიზეზი.

„მას დედა და ახლობლები აფხაზები ჰყავს, თან პატიმრობის ვადა შემოდგომაზე ეწურება და ურჩევნია, ეს პერიოდი მოიხადოს, ვიდრე მათთან ურთიერთობის შესაძლებლობა დაკარგოს. 3 წელი ჰქონდა მისჯილი, დრანდის ციხე დახურული რეჟიმისაა და ამიტომ პატიმრებს 1 წელი ორ წლად ეთვლებათ“, — განუცხადა წყარომ „ჯი-ეიჩ-ენს“.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქართულ მხარეს გადმოეცა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ბოლო 6-7 წლის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეები. პაატა ზაქარეიშვილის უწყებამ 14 ქართველის გადმოცემის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, მოგვიანებით კი საუბარი იყო 13 გათავისუფლებულზე.

ბაჩო კიკაბიძე „მაესტროს“ ლოგოს არ იმობს

ტელეკომპანია „მაესტორს“ერთ-ერთი დამფუძნებელი ბაჩო კიკაბიძე ტელეკომპანიის ლოგოსთან დაკავშირებით ლევან გაჩეჩილაძის სასამართლოში საჩივრის შეტანის საკითხს ეხმიანება და აცხადებს, რომ „მაესტროს“ ლოგოც და სახელიც მისი საკუთრებაა.

„ის რომ ლევან გაჩეჩილაძე დანიშნა ქალბატონმა თეა წულუკიანმა შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორად, არ ნიშნავს, რომ „სტუდია მაესტროში“ ყველაფერი ლევან გაჩეჩილაძეს ეკუთვნის. ამ კომპანიას სხვა დამფუძნებლებიც ჰყავს, სხვა კრედიტორებიც და ასე შემდეგ. საერთოდ მე ვურჩევდი, რომ 15 მარტს მეურვემ და ბატონმა გაჩეჩილაძემ არ შეაჩერონ „მაესტროს“ გაკოტრების პროცესი, ან თუ შეაჩერებენ 16 რიცხვიდან დაიკაპიწონ ხელები და დაიწყონ „მაესტროს“ ვალების გადახდა. „მაესტროს“ ლოგოც და სახელიც არის ჩემი საკუთრება და თუ ვინმე შეეცდა, ჩემი საკუთრება შეზღუდოს, შესაბამისი პასუხი გაეცემა“, — განაცხადა ბაჩო კიკაბიძემ.

შეგახსენებთ, რომ ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატის ნანუკა ჭკუასელის თქმით, გაჩეჩილაძე მოითხოვს შპს „ტელეკომპანია მაესტროს“ მფლობელ ილია კიკაბიძეს არ მიეცეს შპს „სტუდია მაესტროს“ სახელის გამოყენების უფლება.

პუტინს ამერიკის აღარ ეშინია!

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოში ჯორჯ ბუშის თვალწინ შევიდა.

ამის შესახებ ობამამ გამოცემა The Atlantic-თან ინტერვიუში მისი წინამორბედის პრეზიდენტობის შეფასებისას განაცხადა.

The Atlantic-ის განმარტებით, ობამას კრიტიკო-

სების აზრით, რუსეთის მიერ 2014 წლის დასაწყისში ყირიმში შეჭრა და პუტინის გადაწყვეტილება სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის დასახმარებლად სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ, იმის დამადასტურებელია, რომ ამერიკის აღარ ეშინიათ.

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ობამამ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

„ჩემი აზრით, არ არსებობდა ვინმე, რომელიც იფიქრებდა, რომ ჯორჯ ბუში რაციონალურად ან წინდახედულად იქცეოდა, როდესაც სამხედრო ძალას იყენებდა. როგორც მახსოვს, ბუშის თვალწინ პუტინი საქართველოში შევიდა, ზუსტად იმ დროს, როდესაც ჩვენ ერაყაში 100 ათასი სამხედრო გვყავდა განთავსებული“, — განაცხადა ობამამ.

ირაკლი ოქრუაშვილი გორის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეა!

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი გორის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მოვალეობის შესრულებას დღეს შეუდგა.

„ჩვენი თანაგუნდელი ილია მეტრეველი გარკვეული მოვლენების შედეგად, რომელიც გორში განვითარდა, არჩეული იქნა საკრებულოს თავმჯდომარედ. ჩემი ვარაუდით, მას ჩემზე უკეთესი მრჩეველი არ ეყოლება. დანარჩენი უკვე მისი გადასაწყვეტია. ხშირად ისმის კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში არის არაფორმალური მმართველობა. მე არ მინდა, რომ ჩემი გავლენა, ჩემი დახმარება ჩემ მეგობრებს გავუწიო არაფორმალური სტატუსით. ზუსტად

აქედან გამომდინარე, დავთანხმდი მე ილიას თანაშემწის თანამდებობაზე“, — აღნიშნა ირაკლი ოქრუაშვილმა.

თავის მხრივ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ ილია მეტრეველმა თქვა ირაკლი ოქრუაშვილი მისი თანაშემწის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი იქნება და თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს გაივლის.

„მას აქვს უფლება, სამი თვე იყოს ასე და შემდეგ გაივლის კონკურსს“, — თქვა ილია მეტრეველმა.

◎ კადრები

მივა ცვლილებების პროცესი მინისტრთა კაბინეტამდე?

კვირიკაშვილის საკადრო კარუსელი დატრიალდა

„არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს მომავალში მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები განხორციელდეს“, – თავისი ამ განცხადებიდან ორ თვეში გიორგი კვირიკაშვილმა საკადრო ცვლილება დაიწყო, რაც. ამ ეტაპზე რეგიონის პირველ პირებს შეეხოთ. თუმცა, არ არის გამორიცხული, ცვლილებებმა უკვე მთავრობის შემადგენლობაში გადაინაცვლოს.

თანამდებობიდან გადადგომის შესახებ მთავრობის მეთაურს განცხადებით მიმართეს მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის გუბერნატორებმა. ნუგზარ ყიფიანს და ზურაბ რუსიშვილს განცხადებაში თანამდებობის დატოვების მიზეზი მითითებული არა აქვთ. პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე ორივე განცხადება დააკმაყოფილა. მთავრობის გადაწყვეტილებით, მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას გოჩა ზეიკიძე დაიკავებს, ხოლო შიდა ქართლში გუბერნატორის მოვალეობას ზურაბ რუსიშვილის მოადგილე შეასრულებს.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ თანამდებობის დატოვება მოუწევს სამეგრელო ზემო-სვანეთის, გურიასა და კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულებს.

ვიცე-პრემიერ კახი კალაძის განცხადებით, ნებისმიერი საკადრო ცვლილება ბუნებრივი პროცესია და უკეთესობისკენ სწრაფვაა. ხელისუფლების მოთხოვნაა, მეტი საქმე გაკეთდეს რეგიონში და ეს უნდა იგრძნოს საზოგადოებამ.

„მუშაობის შეფასებას რაც შეეხება, ეს ადგილობრივმა მოსახლეობამ, იმ რეგიონში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა შეაფასონ. მთავრობის წევრისგან შეფასება, მიმაჩნია, რომ არის არასწორი, რადგან ჩვენი გუნდის წევრები იყვნენ ეს ადამიანები. ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ ყველა ცვლილება არის უკეთესობისკენ სწრაფვა – ეს არის ნორმალური პროცესი. ჩვენ ვითხოვთ, რომ უფრო მეტი გაკეთდეს, უკეთესობა იყოს რეგიონში, რათა პირველ რიგში, ეს საზოგადოებამ იგრძნოს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დამოუკიდებელი ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე მიიჩნევს, რომ რეგიონალური მიმართულებით ცვლილებები მნიშვნელოვანია. ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება ეს იყოს საკადრო კარუსელის დასაწყისი.

ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ რეგიონალური მიმართულებით დაწყებული საკადრო ცვლილება უკავშირდება როგორც პარლამენტის არჩევნებს, ისე ძალაუფლების გადანაწილებას. **„ამ ცვლილებას აქვს საარჩევნო განზომილება. ერთ-ერთი მოტივაცია არის საარჩევნო მობილიზაცია და ვერტიკალის დალაგება, იმიტომ, რომ არჩევნების დროს რეგიონული კურაციები ობიექტური აუცილებლობაა. ბუნებრივია, უნდა ეცადო, გყავდეს ავტორიტეტული და ეფექტური ადამიანები. სახელმწიფოებრივად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრემიერ-მინისტრს ამ პოზიციებზე ჰყავდეს ადამიანები, რომლებიც მის ვერტიკალში იქნებიან. ისინი არ იქნებიან ირიბი გავლენებისა და ძველი კავშირების მძევლები. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოქმედი გუბერნატორები ძველი ვალდებულებებით არიან შეზღუდული, რამაც შესაძლოა, პრემიერს მუშაობაში შეუშალოს ხელი“,** – აცხადებს გია ხუხაშვილი.

ჯერჯერობით უცნობია, მივა თუ არა პროცესი მინისტრთა კაბინეტამდე. თუმცა, ექსპერტები თვლიან, რომ სამთავრობო ცვლილება აუცილებელია. გია ხუხაშვილის განცხადებით, მმართველობითი კრიზისი გვაქვს ქვეყანაში, რომელსაც როგორც რეგიონული, ასევე ნაციონალური განზომილებაც აქვს.

„ერთ-ერთი ძირითადი განზომილება არის მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება. ძალაუფლების ცენტრების გადანაწილება ახალი კონფიგურაციით იმისთვის, რომ გადაწყვეტილების მიმღების ვერტიკალი უნარიანი და ეფექტური გახდეს. არც ერთ მინისტრს არა აქვს იმის განცდა, რომ ისინი კვირიკაშვილის ვერტიკალში არიან, რაც პრემიერს პრობლემას შეუქმნის მუშაობაში. რამდენად ეყოფა კვირიკაშვილს ასეთი გადაწყვეტილების მიღებისთვის პოლიტიკური რესურსი, ეს ცალკე თემაა“, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

თამთა ქარჩავა

◎ სტატისტიკა



და რა შორია ევროპული ტიპის ეკონომიკამდე...

წარმოების ტენდენციები საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წლის IV კვარტალში საწარმოთა საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნა. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2015 წლის IV კვარტალში საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 15.1 მლრდ. ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 7.4 მლრდ. ლარი შეადგინა. მსხვილი ბიზნესის წილი მთლიან ბრუნვაში 82,4 %-ია, ხოლო მცირე ბიზნესისა – 8,4 %. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროპული ტიპის ეკონომიკამდე საქართველოს საკმაოდ დიდი გზა აქვს გასავლელი და ეს გზა, უწინარესად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობამდე მიდის. ამ სეგმენტის განვითარების გარეშე ძნელი იქნება ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბება და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საინტერესოა, რომ სტატისტიკის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესს საკმაოდ მოკრძალებული წვლილი აქვს, დასაქმებაში ამ ზომის საწარმოების წვლილი გაცილებით დიდია: საწარმოებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა, საწარმოს ზომის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 61.2 პროცენტი, საშუალო ბიზნესი – 16.1 პროცენტი, მცირე ბიზნესი – 22.7 პროცენტი.

საწარმოთა მთლიანმა დანახარჯებმა პერსონალზე შეადგინა 1,7 მლრდ. ლარი, რომლის განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგია: მსხვილი ბიზნესი – 74.1 პროცენტი, საშუალო ბიზნესი – 14.3 პროცენტი, მცირე ბიზნესი – 11.6 პროცენტი. მსხვილი ბიზნესი უკეთ ახერხებს დასაქმებულთა ფინანსურ უზრუნველყოფას. ამას პირდაპირ მოწმობს საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასის მოცულობა: მსხვილ ბიზნესში საშუალო ხელფასის მაჩვენებელი 1223.3 ლარია, საშუალო ბიზნესში – 914.4 ლარი, მცირე ბიზნესში – 597.4 ლარი.

საწარმოების მოცულობის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია საქმიანობის სახეობები. მონაცემების გადახედვა ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ვაჭრობას და მომსახურებას გაცილებით დიდი ადგილი უკავია, ვიდრე რეალურ წარმოებას. საქმიანობის სახეობათა მიხედვით, მთლიან ბრუნვაში პრევალირებს „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 48.4 პროცენტი, „გადამმუშავებელი მრეწველობა“ – 11.7 პროცენტი, „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 10.2 პროცენტი, „მშენებლობა“ – 8.3 პროცენტი, „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა“ – 6.5 პროცენტი.

საქმიანობის სახეობათა მიხედვით, პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს „გადამმუშავებელი მრეწველობა“ (22.3 პროცენტი) და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით: „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 18.6 პროცენტი, „მშენებლობა“ – 17.6 პროცენტი, „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 14.1 პროცენტი, „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 8.9 პროცენტი.

ტრადიციულად, ცენტრზე ორიენტირებულია ბიზნესის წარმოების სტატისტიკაც: რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს თბილისი – 73.2 პროცენტი, აჭარის არ – 6.8 პროცენტი, ქვემო ქართლი – 5.9 პროცენტი, იმერეთი – 4.1 პროცენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.5 პროცენტი.

შესაბამისად, სტატისტიკა გვამცნობს, რომ დისბალანსია საწარმოს მოცულობებს შორის და არის რეგიონალური დისბალანსიც, ქვეყანაში რეალური წარმოების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და ის ძირითადად რამდენიმე მსხვილ საწარმოზე მოდის.

ნინო ევგენიძე

◎ ნავთობპროდუქტები

ავტოგაზი გაიაფდება, ბენზინი კი შეიძლება, გაძვირდეს

აზერბაიჯანულმა მხარემ ამ რამდენიმე დღის წინათ გამოთქვა მზადყოფნა, რომ გადახედოს საფასო პოლიტიკას და 1000 კბ/მ ბუნებრივ აირს კომერციული ფასი 35-40 აშშ დოლარით შეამციროს გაზგასამართი სადგურებისთვის.

ეს ნიშნავს, რომ ქართველ მძღოლებს შესაძლებლობა ექნებათ საკუთარი მანქანები შედარებით იაფი გაზით გამართონ. ამჟამად სხვადასხვა გაზგასამართ სადგურზე სხვადასხვა ფასია. 1 კბ/მ ავტოგაზის ფასი 1,20-დან 1,30 ლარამდე მერყეობს. ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ფასი დაახლოებით 10 თეთრით შემცირდება.

„სოკარი“ რომ კომერციული გაზის ფასების შემცირებას აპირებს, ეს ინფორმაცია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მეზობელ ქვეყანასთან რამდენიმე დღის წინათ ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაავრცელა. გაზგასამართი სადგურების მფლობელებს ბუნებრივი აირის გაიაფების მოლოდინი აქვთ.

კომპანია „გამა გაზის“ ხელმძღვანელი თემურ გრიგოლია აცხადებს, რომ ჯერჯერობით გაზი დაბალ ფასში არ მიუწოდებიათ, შესაბამისად, ცვლილები ვერც საცალო სეგმენტზე აისახა. „გამა გაზში“ ცვლილებებს უფრო მომდევნო თვიდან ელოდებიან, რადგანაც ხელშეკრულება „სოკარსა“ და საქართველოს შორის 4 მარტს გაფორმდა და ახალი ტარიფები ძალაში შუა თვიდან ვერ შევა.

„ველო გაზის“ ხელმძღვანელი ვრანგელ ცეცხლაძე კი „სოკარის“ მხრიდან ფასების კორექტირების შემდეგ გასაყიდი ფასის 15 თეთრამდე დაწევას ვარაუდობს. მისი თქმით, კომპანია გაზს „ყაზტრანსგაზის“ გავლით „სოკარიგან“ იღებს და ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია ტარიფის დაკლებაზე არ მიუღიათ.

ავტოგაზი კი გაიაფდება, მაგრამ ძალიან მალე, შესაძლოა, ბენზინი და დიზელი გაძვირდეს. უკვე რამდენიმე დღეა ნავთობის ფასმა საერთაშორისო ბირჟებზე 40 დოლარს მიაღწია და ბაზარზე გაძვირების ტენდენცია ნარჩუნდება. ბოლო ერთი თვის განმავლობაში, „პლატცის“ მიხედვით, 1 ტონა ნავთობპორდუქტებზე ფასი 40-50 დოლარითა მომატებული. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში უახლოეს ხანებში საქართველოში საწვავის მკვეთრ გაძვირებას არ ვარაუდობენ, თუმცა კავშირის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთმა კომპანიამ ინდივიდუალურად ასწიოს ფასი. **„1 ბარელი ბრენტის მარკის ნავთობის ფასი არის 40-დოლარიან ნიშნულზე, რაც გასული წლის 20 დეკემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ჩვენთან საწვავის ფასი ორ ფაქტორზეა დამოკიდებული – ლარის კურსი და საერთაშორისო ფასები. ლართან დაკავშირებით ვითარება ოპტიმისტურია. თუკი საერთაშორისო ბაზარზე მოცემულობა არ შეიცვალა და ეს ფასები დარჩა, შეიძლება ერთი კვირის შემდეგ, გარკვეულ კომპანიებს ფასების მატება მოუწიოს“,** – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

იგი არ გამორიცხავს, რომ ლარის გამყარების შემთხვევაში, საწვავზე ფასი აღარ გაიზარდოს, ან მატება მხოლოდ არაბრენდირებულ ან ისეთ კომპანიებს შეეხოს, რომლებსაც პროდუქტი ძვირად აქვს ნაყიდი.

„ზოგადად ფასების როგორც მატება ან კლება არაბრენდირებულ ქსელებზე უფრო სწრაფად აისახება. ამიტომ, თუ საერთაშორისო ბაზარზე, ნავთობის ფასის ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა, საქართველოში, პირველ ეტაპზე, არაბრენდირებული ბენზინგასამართი სადგურები გაზრდიან ფასს. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ უახლოეს დღეებში, ბენზინზე ფასებს, მასშტაბურად, ყველა კომპანია არ გაზრდის“, – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

ბეჭა დანელია

◎ თანამშრომლობა

საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წელს 1351 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6%-ით აღემატება 2014 წლის წინასწარ შედეგებს და 23%-ით ნაკლებია ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებზე.

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია. 2015 წელს აზერბაიჯანიდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, წინასწარი მონაცემებით, 542 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდზე თითქმის 200 მილიონი დოლარით გაზრდილი მაჩვენებელია. მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო. საანგარიშო პერიოდში, გაერთიანებული სამეფოდან საქართველოში, 198 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. სამეულშია ნიდერლანდებიც, საიდანაც 111 მილიონის ინვესტიცია განხორციელდა. საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების ხუთეულშია ლუქსემბურგიც და თურქეთიც. ასევე ათეულში შედიან, თურქეთ, რუსეთი, ჩინეთი და ამერიკა.

საქსტატის ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოში 41.3 მილიარდის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) შემოვიდა, რაც 2014 წელთან შედარებით 23%-ით ნაკლებია. ინვესტიციები 2015 წელს საქართველოს ათი უმსხვილესი საინვესტიციო დარგიდან ხუთში შემცირდა. ეს 2015 წელს ექსპორტისა და ფულადი გზავნილების შემცირებასთან ერთად ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

სექტორების მიხედვით შემცირება შეიმჩნევა ისეთ სექტორებში, როგორიცაა:

ენერგეტიკა – $100 მილიონი – 52%-იანი კლება;

დამმუშავებელი მრეწველობა – $91 მილიონი – 55%-იანი კლება;

მშენებლობა -$129 მილიონი – 59%-იანი კლება;

უძრავი ქონება – $48 მილიონი – 65%-იანი კლება;

სასტუმროები და რესტორნები – $61 მილიონი – 51%-იანი კლება.

ინვესტიციების ზრდა შეიმჩნევა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში (+27%), სოფლის მეურნეობაში (+59%), საფინანსო სექტორსა (+40%) და ჯანდაცვის სექტორში (+80%).

ჩრდილოელი დათვი რომ არ გაღიზიანდეს?

დადასტურებული ინფორმაციით, რუსული კომპანია „ვიმპელკომი“ აქტიურად ცდილობს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საკუთარი აქტივების გაზრდას და გავლენის გაფართოვებას. ეს არის უაღრესად საშიში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რადგან ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის აბონენტთა დაახლოებით 25%-იანი წილის ფლობის პარალელურად, საქართველოსთან მტრულად განწყობილი ქვეყნის ხელში აღმოჩნდება ინტერნეტ-მომხმარებლების 32,4% და ინტერნეტ-მაუწყებლობის აბონენტთა 14%. შესაბამისად, გეგმის რეალიზების შემთხვევაში, რუსეთის სპეცსამსახურები მოიპოვებენ პირდაპირ წვდომას არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის, არამედ სახელმწიფო უწყებების, მსხვილი კერძო კომპანიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერნეტ-ტრაფიკზე. ფაქტობრივად, რუსეთი მიიღებს საქართველოში საიდუმლო ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ლეგიტიმურ საშუალებას, რაც შემდგომში გამოყენებული იქნება იარაღად საქართველოს წინააღმდეგ.

ახლა რუსული გეგმის რეალიზება საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს, რადგან საქართველოს მთავრობის და თავად კომპანიების ძალისხმევით, აღნიშნულის საინფორმაციო შეფუთვა ხდება წმინდა ბიზნეს-გარიგების კონტექსტში. კერძოდ, საქართველოში რეგისტრირებულ შპს „მობიტელს“, რომელიც საქართველოში ფლობს ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელ „ბილაინს“ (ჰ ყავს 1 205 201 აბონენტი!) და ეკუთვნის რუსულ „ვიმპელკომს“, სურს შეიძინოს ქართული ინტერნეტბაზრის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის „კავკასუს ონლაინის“ საცალო გაყიდვების სეგმენტი (ჰ ყავს 158 146 ინტერნეტ-მომხმარებელი და 53 361 აბონენტი სარგებლობს ინტერნეტ-ტელევიზიით!).

ერთი შეხედვით, მკაფიოა ქართული კომპანიის მოტივაციაც — აქვს 86 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ვალი, რომელიც პრობლემებს უქმნის კომპანიის ფუნქციონირებას და იძულებულია გაასხვისოს კომპანიის აქტივები (ხელშეკრულების მიხედვით, შპს „მობიტელი“ იღებს ვალის 2032 წლამდე დაფარვის ვალდებულებას). თუმცა, იკვეთება კომპანიების გარიგების რამდენიმე საეჭვო გარემოება. მათ შორის:

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ 2015 წლის ოქტომბერში „სილქნეტის“ მიერ „კავკასუსის“ საცალო სეგმენტის შესაძლო შესყიდვის წინადადების დაბლოკვის შემდეგ, კომპანიის წილით დაინტერესება გამოთქვა „მაგთიკომმა“. მხარეებს შორის ფაქტობრივად შედგა შეთანხმებაც (კომისიამაც მისცა ნებართვა), თუმცა „კავკასუსი“, რომელიც წესით დაინტერესებული უნდა ყოფილიყო საკუთარი აქტივების გასხვისებაში, „მაგთიკომისგან“ აქტივების სანაცვლოდ ითხოვს არასაბაზრო ფასს და სპეციალურად შლის შეთანხმებას, ხოლო პარალელურად ჩნდება „ასტრონომიული ფასის“ გადამხდელი შპს „მობიტელი“, იგივე „ვიმპელკომი“. გარდა ამისა, ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რომ როგორც „მობიტელის“, ასევე „კავკასუსის“ სამეთვალყურეო საბჭოების წევრები არიან ხვიჩა მაქაცარია და თეიმურაზ არონია, რომლებმაც ხელი შეუწყვეს არჩევანის „მობიტელის“ სასარგებლოდ გაკეთებას.

გარდა ამისა, არასაბაზრო ფასის გადახდის მიმართ „ვიმპელკომის“ მზადყოფნას სავარაუდოდ, განაპირობებს ის ფაქტიც, რომ „კავკასუსი“ ფლობს საქართველოს ევროპასთან დამაკავშირებელ ფოთი-ვარნას (ბულგარეთი) შავი ზღვის ფსკერზე გამავალ 1200 კმ-იან ოპტიკურ-ბოჭკოვან მაგისტრალურ ხაზს და, სავარაუდოდ, „კავკასუსთან“ გარიგებაში შესვლით რუსული კომპანია ამზადებს ნიადაგს აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს არტერიაზე კონტროლის დასამყარებლად, რითაც მოიპოვებს წვდომას სამხრეთ კავკასიის ინტერნეტ-ტრაფიკის მნიშვნელოვან ნაწილზე. კერძოდ, მაგისტრალური ხაზი საქართველოს ინტერნეტის მიწოდების 55%-ს, აზერბაიჯანის 50%-ს, ხოლო სომხეთის 85%-ს უზრუნველყოფს. მხარეთა განცხადებით, მიმდინარე ეტაპზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შესყიდვაზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, „მობიტელი“ „კავკასუსის“ საცალო სეგმენტით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც კომპანიამ მაგისტრალური ხაზის შესყიდვის თაობაზე მიიღო შეთავაზება.

ბიზნეს-გარიგება უხმაუროდ ჩაივლიდა, რომ არა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი, რის გამოც კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისია იძულებული გახდა მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში გაემართა საჯარო მოსმენა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (კომპანიების მიმართვის საფუძველზე კომისიამ საკითხის შესწავლა დაიწყო იანვარში). განხილვაზე კომპანიებმა დაადასტურეს, რომ საუბარი მიმდინარეობდა მხოლოდ საცალო სეგმენტთან დაკავშირებით და მოითხოვეს „ბიზნეს-გარიგების“ პოლიტიკური დატვირთვისგან გათავისუფლება. კომისიამ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია „მობიტელის“ მიერ წარმოდგენილი მასალა და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის შემდეგი სხდომა 2016 წლის 10 მარტისთვის დაიგეგმა. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით, რა გადაწყვეტილება მიიღო გუშინ კომისიამ, თუმცა საყურადღებოა, რომ „ვიმპელკომმა“ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო საქართველოს ხელისუფლებისგან პოლიტიკური მხარდაჭერის მიღებაზე ზრუნვა, როცა დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა „ვიმპელკომის“ წარმომადგენლებს.

როგორც საქართველოს მთავრობისგან, ასევე კომისიის მხრიდან ნებართვის მიღებად „ვიმპელკომი“, სავარაუდოდ, იყენებს საქართველოს ზოგიერთი მაღალჩინოსნის ფინანსურ დაინტერესებას, რაც კომპანიის საქმიანობის პრაქტიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელიც კი არის. კერძოდ, უზბეკეთში აქტივების შესაძენად ქრთამის გაცემისთვის 2016 წლის იანვარში აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ „ვიმპელკომს“ დაუწესა 795 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმა. ბრალდების თანახმად, უზბეკეთის პრეზიდენტის ქალიშვილისთვის, გულნარა კარიმოვას კომპანიისთვის დიდი ოდენობით თანხის მიცემის სანაცვლოდ „ვიმპელკომმა“ შეძლო ქვეყნის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შესვლა და სიხშირეების ლიცენზირებისას პრეფერენციების მიღება. „ვიმპელკომმა“ წარდგენილი ბრალდება აღიარა და დათანხმდა ჯარიმის გადახდას, მაგრამ აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ კომპანია შეცვლის საქმიანობის პრაქტიკას. თუმცა, ამ ეტაპზე რთული სათქმელია საქართველოს რომელი მაღალჩინოსანი და დაინტერესებული ჯგუფი იღებს ფინანსურ სარგებელს კომპანიისგან.

გარდა ამისა, ზოგიერთი ექსპერტი „ვიმპელკომის“ საქართველოში გააქტიურებას დადებითად აფასებს და აღნიშნულს ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობით ხსნის, ასევე აცხადებენ, რომ იგი დამოუკიდებელი კომპანიაა და მასზე გავლენა არა აქვს რუსეთის სახელმწიფოს. ერთი შეხედვით (იურიდიულად), ეს სრული სიმართლეა, თუმცა რუსეთში ბიზნეს-საქმიანობის ელემენტარული პრინციპების ცოდნაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ რუსული სახელმწიფო და მისი სპეცსამსახურები კერძო კომპანიებსაც აქტიურად იყენებს საკუთარ ინტერესებში. მეტიც, „ვიმპელკომის“ უმთავრესი აქციონერი „ალტიმო“ ეკუთვნის „ალფა-გრუპს“ (საქართველოში ფლობს კომპანიას „IDS Borjomi“), ხოლო მისი უმთავრესი მეწილეა მილიარდერი მიხეილ ფრიდმანი, რომლის მატერიალური მდგომარეობაც პირდაპირ კავშირშია მის მიმართ კრემლის კეთილგანწყობაზე. შესაბამისად, გულუბრყვილო იქნება საუბარი კომპანიის დამოუკიდებლობაზე და რუსული სპეცსამსახურების გავლენის არარსებობაზე.

ამას ადასტურებს დავა ერთი მხრივ „ალტიმოსა“ და „ვიმპელკომის“ მეორე მსხვილ მეწილე ნორვეგიულ „ტელენორს“ შორის, რაც უკავშირდებოდა უკრაინის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე წილების მოპოვებას. კერძოდ, 2004 წელს „ალტიმომ“ შეიძინა „ტელენორის“ მიერ კონტროლირებადი უკრაინის ერთ-ერთი უმსხვილესი ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელის მფლობელი კომპანიის „კიევსტარის“ აქციები და ნორვეგიელ პარტნიორებს შესთავაზეს მისი გაერთიანება „ვიმპელკომთან“, რასაც შეეწინააღმდეგა „ტელენორი“. საპასუხოდ, „ალტიმომ“ სხვა უკრაინული სატელეკომუნიკაციო კომპანია იყიდა და პირდაპირ კონკურენციაში შევიდა „ტელენორთან“. კომპანიებს შორის დავა დასრულდა მასში რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ვლადიმირ პუტინის ჩართვის შემდეგ — „ვიმპელკომი“ და „კიევსტარი“ გაერთიანდნენ და რუსულმა კომპანიამ მოახდინა უკრაინული სატელეკომუნიკაციო ბაზრის წილის მნიშვნელოვანი ნაწილის კონსოლიდაცია.

ზემოაღნიშნული არაერთი ფაქტიდან გამომდინარე, ნათელია, რომ „ვიმპელკომის“ მიერ საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის წილის შეძენა არ წარმოადგენს მხოლოდ ბიზნეს-გარიგებას და ხსენებული საფრთხე შეიცავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. კერძოდ, ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ ვაქცევთ პირველ ეტაპზე საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის დაახლოებით ნახევარს და ვუქმნით ნიადაგს, კონტროლი დაამყაროს საქართველო-ევროპის დამაკავშირებელ მაგისტრალურ ხაზზე, რომელსაც საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან გვაძლევს საშუალებას, რუსეთის გვერდის ავლით (შესაბამისად, უსაფრთხოდ!) ჩავერთოთ მონაცემთა გაცვლის გლობალურ ქსელში. სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გამო, შესაბამის სახელმწიფო უწყებებში (განსაკუთრებით ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში) არ ან ვერ ხდება საფრთხის მასშტაბების გაცნობიერება და შესაბამისი რეაგირება, რაც, თავის მხრივ, იძლევა საბაბს დამატებითი ეჭვებისა და ვარაუდების გამოსათქმელად:

პირველი, სახელმწიფო რუსეთს უქმნის სასათბურე პირობებს საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად და მეორე, შესაბამისი სამსახურები ვერ აცნობიერებენ საინფორმაციო და კიბერ-უსაფრთხოების მნიშვნელობას, რაც არანაკლებ დიდი ტრაგედიაა. აღნიშნულის დამამტკიცებელ ერთ-ერთ ფაქტად შესაძლოა, ისიც მოვიყვანოთ, რომ საქართველოს წამყვანი ინტერნეტ-პროვაიდერი „სილქნეტი“ დიდი ხანია, საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს რუსულ FSB-სთან კოორდინაციაში მოქმედი „კასპერსკის“ ანტი-ვირუსის უფასო ინსტალაციას (http://www.silknet.com/index.php?lang=ka&mid=241&s=antiviruses_packets&antivirus_id=6), რაზეც შესაბამისი სამსახურები არ ან ვერ რეაგირებენ, რაც ბუნებრივად ჯდება მიმდინარე ეტაპზე საქართველოში ჩამოყალიბებულ კონტექსტში — ჩრდილოელი მეზობელი რომ გაღიზიანდეს?!

ნიკოლოზ აბრამიშვილი

◎ კარგი ამბავი

წლეულს თბილისს ახალი ბაგა-ბაღები შეემატება

ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, დედაქალაქის მასშტაბით, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გლდანსა და ნაძალადევში მშენებარე საბავშვო ბაღები თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან თემურ თორდინავასთან და რაიონების გამგეობების თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა და კონკრეტული დავალებები გასცა.

ამ დროისთვის თბილისის სხვადასხვა რაიონში 6 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. 2016 წლის დასაწყისში გაიხსნა კიდევ ერთი ახალი — 128-ე საბავშვო ბაღი, რომელშიც, დამატებით, 500 ბავშვი დარეგისტრირდა.

„წარმატებით ვასრულებთ ჩვენს დაპირებას ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობასთან დაკავშირებით. 6 ბაღიდან 3 უკვე პრაქტიკულად დასრულებულია და მხოლოდ და მხოლოდ შიგნიდან აღჭურვას, დაკომპლექტებას საჭიროებს, რაც აპრილის ბოლომდე დამთავრდება და 15 მაისამდე 3 ბაღში უკვე შემოვიყვანთ აღსაზრდელებს. დანარჩენი 3 ბაღიც ამ გაზაფხულზე დასრულდება, ასევე, აღიჭურვება და სექტემბრისთვის, როცა ახალი სასწავლო წელი დაიწყება, შესაბამისად, დამატებით 3 ბაღში კიდევ შევლენ აღსაზრდელები. გარდა ამისა, წლევანდელი გეგმის ფარგლებში, 10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყება, რომელთა საპროექტო სამუშაოებიც მიმდინარეობს, ტერიტორიები შერჩეული და გადაცემულია ბაღების სააგენტოსთვის. მნიშვნელოვანია ის, რომ მომდევნო წლისთვის კიდევ 10 ახალი ბაღი შეემატება ჩვენს ქალაქს“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

ელეონორა გილოიანი:

„მადლობა, საქართველო!“

ენგურჰესსა და ზუგდიდში ამასწინანდელი მოგზაურობის შესახებ მკითხველს რეპორტაჟი „Sputnik Абхазия“-ს კიდევ ერთმა სოხუმელმა ჟურნალისტმა ელეონორა გილოიანმა შესთავაზა. „აქცენტი“ ამჯერად მის თარგმანს გთავაზობთ:

„ცუდი მოგზაური ვარ. სრულად ვარ შეყვარებული ჩემს სოხუმზე და თუ მას ვტოვებ, თან უკან დასაბრუნებელი ბილეთი უნდა მქონდეს. ასე რატომღაც უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს.

გაიღვიძე და გაიქეცი

ჩვენი სოხუმური ცხოვრების ყოველი დილა ყავით იწყება. და არც ეს დილა იქცა გამონაკლისად. მე და ჩემი ოპერატორი ვდგავართ სოხუმის სანაპიროზე, ხმას არ ვიღებთ. საერთოდ, იშვიათად ვდუმვართ. ომის ორი შვილი – ახლა ორივე ერთზე ვფიქრობთ, მაგრამ ეს ერთ-ერთმა უნდა გაახმოვანოს. ეს მისია ჩემმა მეგობარმა, როგორც ნამდვილმა მამაკაცმა, საკუთარ თავზე აიღო.

– აცნობიერებ, რომ საზღვრის იქით გადავდივართ?

– ბოლომდე არა. მოდი, თოლიებს გადავუღოთ, – თავი ავარიდე საუბარს, აზრი კი გამომედევნა. მოკლედ, მივდივარ საქართველოში, სამსახურებრივად. კოლეგებთან ერთად, რომელთა შორის მეგობრებიც არიან. მაგრამ ...

მანქანაში მთელი გზა აფხაზური სიმღერები ისმოდა. სიჩუმეა. ენგურამდე რომ მივედით, მძღოლმა ხმას აუწია. პატრიოტული გვირგვინი თავის ადგილზე დადგა. მე დამიდგა.

გამარჯობა, ენგურო!

აღმოსავლეთ საზღვარზე ხალხი რიგში, ალბათ, იმდენივეა, რამდენიც წელიწადის ამ დროს – დასავლეთ საზღვარზე. უწყვეტი ნაკადით ხალხი ტოვებს ჩვენს ქვეყანას და ასეთივეთი ბრუნდება.

არ მეშინია, უცნაური შეგრძნება მაქვს მხოლოდ. ჯერ ერთი, ენგური ფსოუზე გაცილებით ახლოს აღმოჩნდა. მეორეც, სიცოცხლე იქ არა უბრალოდ იყო, არამედ დუღდა და გიპყრობდა: ხალხი ჩანთებით, ჩანთები ხალხის გარეშე, ფაციფუცი.

ჩვენ ამ ენგურული სიცოცხლის განაპირას ვდგავართ. ფოტოებს ვიღებთ. ძველი ჟურნალისტური გვარდია ვლადისლავის ეპოქის ისტორიებს გვიყვება. მის ანგარიშზე ათობით საზღვრისპირა რეპორტაჟია – ისინი ჩვენთვის გმირები არიან. უკვე მაშინ ვხვდები: სუსტი ვარ.

გადავდივართ საზღვარზე, ვხვდებით უსასრულო ხიდზე, სადაც ერთადერთი სატრანსპორტო საშუალება ურიკაა თითო ცხენით. ისევ ვიღებთ ფოტოებს. ვსხდებით მიკროავტობუსში და გეზს ვიღებთ ენგურჰესის დამბისაკენ.

რამდენიმე წუთში საბოლოოდ ვაცნობიერებ, რა მოხდა ახლახანს. უფრო ზუსტად, რა არ მოხდა: ველოდი, რომ ვნახავდი სხვა სამყაროს, მაგრამ ვნახე სხვა ომი.

სხვა ომი

მიტოვებული სახლები, ჩამსხვრეული მინები, ნანგრევებად ქცეული შენობები, საშინელი გზები. ერთი წამით მომეჩვენა, რომ განათლებაში დიდი თეთრი ლაქა მაქვს და გამომრჩა რაღაც ოფიციალურად დაფიქსირებული კონფლიქტი, რომლის დროსაც ვიღაცის მიერ ნადგურდებოდა სასაზღვრო (და შესაძლოა, არა მარტო) სოფლები.

ჩვენს ჟურნალისტურ მარშრუტს მთებისკენ მივყავდით. საქართველოში ისინი უფრო დაბალია – თითქოს ხელითაც მიწვდები. ყველა ფოტოებს იღებდა და წამით მცირე ტურისტული ჯგუფის წევრად ვიგრძენი თავი, რომელსაც უფასო საგზური ერგო. არა იქ, სადაც ვისურვებდით, რა თქმა უნდა, მაგრამ ესეც წავა.

ჯვრის წყალსაცავი

სრული აღტაცება, სრული გაოგნება – ეს ყველაფერი შენს შესახებაა, წყალსაცავო. პირდაპირ ვთქვათ, შენზე უარესი წარმოდგენა მქონდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ შენ იქეცი ჩემი ხალხისთვის წვალების მიზეზად, ერთი ნახვით არ უნდა შემყვარებოდი. მაგრამ ვერ შევძელი. შენ რაღაცნაირი აბსოლუტური მტკიცებულება ხარ იმისა, რომ ადამიანს ყველაფერი შეუძლია. შენ წარმოუდგენლად დიდი ხარ, წარმოუდგენლად ლამაზი და თავადაც გავოცდი, რომ მომეწონა შენი ენერგეტიკა. მოკლედ, გულახდილად გეტყვი, რომ შემძლებოდა, თან წაგიღებდი, პატივცემულო წყალსაცავო. რატომღაც მგონია, რომ წინააღმდეგი არ იქნებოდი.



„ჩვენ ვღვინდებით, ღვინო ჯერ კიდევ არა ვართ“

მამაჩემმა ქართული იცოდა, ისევე, როგორც მისი თაობის ბევრმა წარმომადგენელმა – დაღვინების გარეშე წასული თაობისა. მაგრამ ამის შესახებ – ოდესმე, შემდგომში, ახლა – ჩვენს შესახებ. მიყვარს საუბარი იმაზე, რომ ადამიანურ ურთიერთობებში ორი გზა არსებობს: ან ვისოცკის, ან ბროდსკის. პირველ შემთხვევაში შენ პლანეტის ნებისმიერი მცხოვრები გიყვარს, სანამ არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. მეორეში – პირიქით, არ გიყვარს. დარწმუნებული ვარ, იმ ხალხს, რომელიც გვხვდებოდა, ვისოცკის სწავლებიდან გამომდინარე ვეკიდებოდით – ალბათ, ყველაზე საუკეთესო სწავლებიდან ჟურნალისტებისთვის. ჩვენ – ახალგაზრდა კორესპონდენტები, ყველაფერს უფროს თაობაზე მწვავედ აღვიქვამთ. არის ამაში რაღაც აუხსნელი, თუმცა თავად ჩვენ ეს ფაქტი რატომღაც სრულიადაც არ გვძაბავს.

შესაძლოა, ამიტომაც იყო, რომ როცა ერთ-ერთმა ქართველმა ენერგეტიკოსმა ფართო ღიმილით გვაუწყა, რომ „ორიოდ წლის შემდეგ აფხაზეთი შესაძლოა, ელექტროენერგიის გარეშე დარჩეს“ და პირობა დადო, რომ ამ მოსაზრებას ნებისმიერი სპეციალისტის წინაშე დაიცავდა, ჩემმა ოპერატორმა კედლების გადაღება დაიწყო, მე კი გავედი, რათა კიდევ ერთხელ მენახა დამბა. გამოგიტყდებით, მასთან გაცილებით უფრო დიდი სიამოვნებით მექნებოდა ურთიერთობა. მან იმდენი რამ იცის. იმდენ რამეს ინახავს!

ზუგდიდი

დამბაზე რამდენიმე საათის გატარების შემდეგ ისევ საზღვრისკენ ავიღეთ გეზი. ამოვიღე ყურსასმენები და საკუთარ სამყაროში გადანაცვლება გადავწყვიტე – იმ სამყაროში, რომელიც დედაქალაქების, რელიგიისა და ეროვნებების გარეშეა. სახლში დაბრუნება უფრო მათბობდა, ვიდრე მცხუნვარე მზე და ვაკარჩუკიც კი ყურსასმენებში თითქოს სწორედ ჩემს ბრძოლაზე მღეროდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ გრადსკისთვის უნდა მესმინა: ზურგსუკან მხოლოდ ერთი მოგებული ტაიმი იყო.

აი, შევდივართ ზუგდიდში. ეს უფროსმა კოლეგებმა მამცნეს, თავად ვერ მივხვდებოდი. გაუთავებელი სავაჭრო დახლები: პროდუქტები, ტანსაცმელი, წიგნები. „ფასთ ფუდიდან“ გამომავალი სკოლის მოწაფეები. პარკი შადრევნით. მქონდა გრძნობა, რომ ამ ქალაქს ვიღაცამ დასცინა და მასში ყველაფერი ერთიანად ჩატენა, თანაც მაქსიმალური დისკომფორტით ყველასათვის. პარკში კაცის ჭაჭანება არ იყო – ისეა განლაგებული, ალბათ, ადგილი ქალაქის რუკაზე ხუთკაპიკიანის აგდებით შეარჩიეს. ბროდსკის იგივე სახელწოდების ლექსის გმირად – პილიგრიმად ვიგრძენი თავი...

ხალხის ნაკადში თვალებით ვპოულობდი მამაჩემის ასაკის მამაკაცებს. იქნებ ეს ესროდა ჩვენებს? ან იქნებ ის? ან იქნებ ორივე ერთად? არასოდეს მინახავს ადამიანი, რომელსაც ჩვენთან უომია და იმ აზრისგან, რომ ჩემგან ერთ მეტრში შეიძლებოდა მტერი ყოფილიყო, ჩემი ცნობიერება თითქოს გადაიტვირთა საფრთხის მოლოდინში.

აღმოჩნდა, რომ რესტორანთან მივედით, სადაც უკვე გველოდა გაშლილი სუფრა. ორსართულიანი, ხით გაწყობილი შენობა, ცარიელი მასიური მაგიდებით და კიდევ უფრო მასიური სკამებით. მაგიდასთან პირველს არავის სურდა, დამჯდარიყო. უნდა ვაღიარო, თვალის დევნება კარგად ნაცნობი ადამიანებისათვის შეთავაზებულ პირობებში საკმაოდ საინტერესოა. თხუთმეტ წუთში ვიჯექით სუფრასთან. ჩვენი ჟურნალისტური დესანტის მამაკაცური ნაწილი ამაყად ამბობდა სადღეგრძელოებს აფხაზურად აფსნის მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის, პასუხად კი ესმოდა რაღაც „ჩვენ ძმები ვართ“-ის მაგვარი. რესტორანი არ მომეწონა არც დიზაინით, არც ატმოსფეროთი, არც პუბლიკით. იმედი მაქვს, ის ზუგდიდში საუკეთესო არ არის. რაც შეეხება სამზარეულოს, მე მთელს კავკასიაში უგემური სამზარეულო არ ვიცი. ის თითქოს უბრალოდ არ არსებობს. ისევე, როგორც არც ჩემში არსებობს არც სურვილი და არც უფლება, შევაფასო საქართველო.

გზა ჩემს სახლში

სიბნელემ დაისადგურა ერთდროულად ფანჯრის მიღმა და ჩემში გაიღვიძა პატარა გოგომ, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ როცა ბნელდება, დროა, შინისაკენ გასწიოს, თორემ დედა ინერვიულებს და ზოგადადაც, პრობლემებს ვერ აუხვალ. სხვათა შორის, დედა მაგარი მყავს. არ ვიცი, რას გავაკეთებდი, ჩემი ქალიშვილი რომ წასულიყო საქართველოში ყოველგვარი კავშირის გარეშე მთელი დღით. დედა კი მელოდა. ასევე მელოდნენ მეგობრები, კოლეგები, შეფი. და მათ ვერ გავაწბილებდი. ჩვენი კამპანია გასასვლელისკენ დაიძრა. ახლა – მართლაც სახლისაკენ. საზღვარი, საბუთები, ჩვენი მომღიმარი მესაზღვრეები.

– აბა, დაბრუნდით?

– რა თქმა უნდა, თქვენ რა, ეჭვი გეპარებოდათ?

– არა. როგორ მოგეწონათ?

– სახლი მოგვენატრა.

მადლობა, საქართველო!

ჩემს ქვეყანაში ჯერ არასდროს შემოვსულვარ ამ კარით. გულახდილად ვიტყვი, გრძნობები შერეული მქონდა. მეჩვენებოდა, რომ რაღაც უკანა შესასვლელით შემოვდიოდი. მე ეს არ მეკუთვნის. მხოლოდ გამონაკლისის სახით, ერთხელ, სამსახურებრივად. და მე ეს „ერთხელ“ გამოვიყენე. მადლობელი ვარ საქართველოსი. ერთ დღეში ამ ქვეყანამ მეტი მომცა, ვიდრე სხვადასხვა ლიტერატურის კითხვამ და სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობამ. საქართველომ თავად მომცა არგუმენტები, რომლებიც არ მყოფნიდა.

ახლა შემიძლია, თავისუფლად მოვახდინო საქართველოს ასოცირება დიდი მშიერი ოჯახის უფროსთან, რომელსაც გულწრფელად ახარებს, რომ მეზობელი კიდევ უფრო მშიერია. და მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა ეს სიმართლე. დიდი ხანია, ვისწავლე, როგორ არ წამოვეგო პროვოკაციებს და ვაქციე სოციალური ქსელები პოეტურ დღიურად მშობლიური ქალაქისადმი სიყვარულის ელფერით. მაგრამ ახლა ხელში მქონდა კოზირები ნებისმიერი იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ ჩემი ქვეყანა კვდება. მესმის, რომ ყველგან არის თავისი МКАД-ი (მოსკოვის წრიული საავტომობილო გზა) და ყველაფერი, რაც მას იქითაა, არასოდეს იქნება სიამაყის საგანი. მაგრამ მე, ალბათ, პირველი ვარ, ვინც მადლობელია ამოტრიალებულის“ ხილვისთვის.

საქართველო – ჩემი სიცხადე და სუბიექტურობაა. ჩემი პირადი საზღვარი „მე ვთვლი“-სა და „მე ვგრძნობს“ შორის. და სწორედ ეს მაქცევს „მე“-დ. არ ვაპირებდი ორი ქვეყნის შედარებას არც მოგზაურობის დროს, არც მით უმეტეს ამ ტექსტის წერისას. ეს ის შედარებითი ანალიზია, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ადგილი გვაქვს ჩვენ – ნაცემებს, მაგრამ გულახდილებს, ყველაზე მტკივნეული ბავშვური მოგონებებით. ისეთებს, როგორებიც ვართ. ისეთებს, როგორებიც გავხდით.

იცით, საზღვარი მართლაც ორივე მიმართულებით მუშაობს – ჩვენ ციხეში არა ვართ. ჩვენ იქ ვართ, სადაც მოვისურვეთ ყოფნა.

მე სახლში მინდა ყოფნა: აქ მაქვს საყვარელი სამსახური, ყავა დილაობით და ყველაზე ფოტოგენური თოლიები.

და შუქიო? – მკითხავთ... ჩემი ერთი წინაპრები გენოციდის მსხვერპლი არიან, მეორენი – რეპრესიების, მაგრამ ყველა მათგანი უსაზღვროდ ძლიერი ადამიანი იყო სიმამაცისა და სიბრძნის ულევი მარაგით და თუ ჩემი განსაცდელი ელექტროენერგიის შეფერხებებია, მე მოვითმენ. რადგან სახლი – ეს არის ადგილი, საიდანაც წასვლა არასდროს გინდება“.

ახალი ამგების სააგენტო „აქცენტი“

რეცენზიის მაგივრად

(პირველი გვერდიდან)

მინდობილად მიჰყვები გამოცდილი კალმოსნის ოსტატური თხრობის გეზს და გრძნობ, შინაგანად როგორ გავსებს და, იმავდროულად, გამსუბუქებს კიდეც ლაღად, ძალდაუტანებლად გადმოცემული ისტორია თავისი დროის ერთი კოლორიტული პერსონაჟისა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ პიროვნებაზე მონათხრობი იმ მოზაიკასავითაა, ბავშვები რომ აწყობენ ხოლმე – მისი ყოველი ახალი დეტალი სულ უფრო ნათლად გამოკვეთს ნაკვთებს და, როდესაც ბოლო შტრიხიც ჩაჯდება „მოზაიკაში“ და სრული პორტრეტიც დაიხატება ერთი დიდებული კაცისა, შენდაუნებურად სინანული გეუფლება იმის გამო, რომ არ გქონდა ბედნიერება მისი ნაცნობობისა, მასთან ახლო ადამიანური ურთიერთობებისა – საუბარია **მიხელ ბღაჟბაზე,** გასული საუკუნის 50-60-იან წლებში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანზე.

რასაც ახლა ვწერ, რეცენზია რომ არ არის, რუბრიკითაც ჩანს. ამიტომ მეტს არაფერს ვიტყვი ამ წიგნზე ერთის გარდა – აუცილებლად წაიკითხეთ იგი და, მერწმუნეთ, დიდად კმაყოფილი დარჩებით (სხვათა შორის, ეს რომანი უკვე უთარგმნიათ ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სლოვაკურ ენებზე).

კალამი კი იმ პარალელებმა ამაღებინეს, წიგნის წაკითხვის შემდეგ მასში მოთხრობილ ამბებსა და დღევანდელობას შორის რომ გამიჩნდა ჩემდაუნებურად.

ამ პარალელთაგან მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფ.

იმდროინდელი ნაგაზი და... შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ამჟამინდელი „ძალად მაცხონენი“

გერმანული ნაგაზი დაბერებულა. პატრონს ახალი ლეკვი შეუძენია. ბებერ ძაღლს ეს წყენია, სახლიდან გაქცეულა და ბაზარში დაუდვია ბინა.

„...ოღონდ ესაა – თავისი ყოფილი ოჯახის წევრს თუ ნახავდა ბაზარში, მივიდოდა მასთან, ალოკავდა, გვერდიდან არ შორდებოდა, სახლამდე მიაცილებდა და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოჯახი გამოეფინებოდა ქუჩაში, ეფერებოდა და სთხოვდა, ეზოში შემოსულიყო, კვლავ უკან მრუნდებოდა, ბაზარში.

მიიჩნევდა, რომ აწყენინეს.

ძალიან უყვარდა ის ოჯახი, მაგრამ რადგანაც ძალიან უყვარდა, წყენასაც არ ივიწყებდა.

იმ ძაღლის სიამაყეს გაუმარჯოს!“

მართლაც გაუმარჯოს!

ამ სამ წელზე ცოტა ხნის წინათ, ქართველმა ხალხმა, ამომრჩევლებმა დამარეტიანებელ-გამანადგურებელი სილა გააწნეს „ოკეანედალეულ“ გნაცმოძრაობელებს, რბილად რომ ვთქვათ, იმ არაქართული პოლიტიკისთვის, რასაც ისინი ატარებდნენ, და უბრალოდ კარისკენ კი არ მიუთითეს, წადიო, არამედ „ეზოდან“ გამოაპანღურეს.

მაგრამ ზუსტად ისე მოხდა, ერთ ანდაზაში რომაა ნათქვამი – **უნამუსოს აფურთხებდნენ, ის კი არხეინად გაიძახოდა, რა უუუნა წვიმა მოდისო:** გაძევებული გნაცმოძრაობა, იმის ნაცვლად რომ „ბაზრისთვის“ შეეფარებინა თავი, იხტიბარს არ იტეხს და ლამის ძალით შემოგვეჭრას სახლებში – ხელისუფლებაში უნდა დავბრუნდეთ, გიშველოთ და გადაგარჩინოთო!

ღმერთო, შენ გვიშველე და დაგვიხსენი... ასეთი „ძალად მაცხონე“ „გადამრჩენელებისგან!“



არა სპოგს ის თავმოყვარე ნაგაზი ამგვარ უთავმოყვარეებს?

კაცობის დამფასებელი და... ჩაშვების წამქეზებლები

სოფელ წებელდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მთელი დღე მინდორ-მინდორ და ყანა-ყანა დაწანწალებდა თურმე – სიმინდის მოსავლის აღების პროცესს აკონტროლებდა და ხელმძღვანელობდა. ნაშუადღევს ერთ ბრიგადაში ჭაჭის არაყი ბლომად დაულევია და კოლმეურნეობის კანტორაში ლამის გამომტყვრალი მისულა.

იქ ბუღალტერიღა დახვედრია, დიდი ქვეშ-ქვეშა, მისი ადგილის ხელში ჩაგდების მოსურნე. უთქვამს მისთვის, მთვრალი ვარ და მეორე ოთახში თივაზე დავიძინებ, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, ყანაშიაო.

საღამოხანს გაუღვიძნია. – ხომ არავის ვუკითხივარო, – მიუმართავს ბუღალტერისთვის. – კიო, საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, მოგიკითხა, ტყუილი ვერ ვუთხარი, გნახა თივაზე მძინარე და ხვალისთვის „ობკომში“ დაგიბარაო.

„მეორე დილით მუხლების კანკალით მივადექი ობკომს, ბღაჟბამ დამიბარა-მეთქი... შევედი, მაგრამ ვაი ამ შესვლას, ენას ვერ ვაბრუნებ პირში. ბღაჟბა ხან რას მეკითხება, ხანაც – რას. ხან გეგმაზე ლაპარაკობს, ხან ამინდზე, ხან პახმელიაზე და ხაშზე. გუშინდელ დღეზე კი არაფერს მეუბნება... ბოლოს – წადი ახლა, საქმეს მიხედეო.

– მიხეილ თემუროვიჩ, მეტს არაფერს მეტყვითმეთქი? – ამოვილუღლუღე კართან მისულმა.

– კი, ერთ რამეს კიდევ გეტყვი – არ მომეწონა რაღაც შენი ბუღალტერი, არ ჩანს კარგი კაცი, სხვაგან გადაიყვანო იქნებ, იფიქრე ამაზეო“.

არ არის ამის მთქმელი პაცურობის დამფასებელი პაცი და მართლაც პაცური არაა ეს პოზიცია?

ჩვენთან კი რა ხდებოდა გნაცმოძრაობის ზეობისას? მათი უკაცურობის დამადასტურებელი მაგალითების ჩამოთვლას ერთი გაზეთიც არ ეყოფა. კაცურ პოზიციას ავლენდნენ და კაცობას აფასებდნენ კი არა, ყოველივე კაცურობის ჩაკვლას ცდილობდნენ მათი მიუღებელი პოლიტიკის მოწინააღმდეგე მამაკაცებში (ამის გამოც გაცოცხეს ეს „მეცოცხეები“ ამომრჩევლებმა!).

განსაკუთრებით მიუღებელი კი ის ჩაშვების პოლიტიკა გახლდათ, რომლის დანერგვასაც ყოველნაირად ცდილობდნენ და მხარს უჭერდნენ ამჟამინდელი „ძალად მაცხონენი“.

და რაც ყველაზე ცუდია, ბავშვებში ეწეოდა ამას პროპაგანდა. თანაც იმათი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბების კი არა, მოზარდთა ლიბერტარიანული ფენის ჩამოყალიბების მიზნით.

არადა, ახლაც ამტკიცებენ, საქართველოს გადარჩენის სურვილიდა გვამოძრავებსო!

ხრუშჩოვი, კოსტია მორევი და... ჩვენებური მეოცნებენი

საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს უთუოდ კარგად ეხსომებათ თავის დროზე დეგენერატი ხრუშჩოვის მიერ წამოსროლილი ლოზუნგი, დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებსო.

ამაზე ენაკვიმატმა გურულებმა კი თქვეს, დაწევით დავეწევით, მაგრამ ვერ გავუსწრებთ – შარვალი გვაქვს საჯდომზე გამოხეული და შევრცხვებითო.

მაგრამ ყველაზე ოპერატიულად მაინც სოხუმში საიდანღაც შემოხეტებული და დღედაღამ ნახევრად მთვრალი გიუპოეტა კოსტია მორევი გამოხმაურებია ამ ლოზუნგს.

„...როგორც კი ნიკიტა ხრუშჩოვმა გამოაცხადა, ჩვენ დავეწევით და მალე გავუსწრებთ ამერიკასო, მეორე დილით კოსტია მორევი კატერების ნავსადგურის წინ, კოლონადასთან იდგა და ღრიალებდა:

„Мы Америку догнали по надою молока,
А по мясу не успели – х... сломался у быка“.

ლოთი უძახე შენ და, ათიანში კი მოარტყა.

არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებით მოგვრილ სიხარულსა და ეიფორიას ხეირიანად არც გაევლო, გამარჯვებულმა მეოცნებეებმა რომ თქვეს – ისეთ დემოკრატიას დავამყარებთ, მთელ ევროპას გავაოცებთო!

აგაშენოთ, ღმერთმა, ნაღდ დემოკრატიას რა სჯობს, მით უფრო იმ საშინელი ცხრაწლიანი ძალადობის შემდეგ დამყარებულს!

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, გარედან თავსმოხვეული კოჰაბიტაციის „სიკეთე“ უფრო მალე ვიგრძენით, ვიდრე დემოკრატიისა – ის ნაცებიც კი, არჩევნების მეორე დღესვე რომ გაიძურწნენ საზღვარგარეთ, რაკი დარწმუნდნენ, არავინ არ გვერჩისო, უკან დიდი რიხით შემობრუნდნენ და სულ ჩუკენებსა და უნიათოებს ეძახიან იმ ხელისუფლებას, რომლის პარლამენტის თავმჯდომარის მტკიცებით, ჩვენი მთავარი მიზანი თურმე ნაცმოძრაობის შენარჩუნება ყოფილა (რესპუბლიკელებს ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, ბატონო დავით, გნაცმოძრაობელები, მაგრამ იქნებ ხალხის აზრიც გაგეთვალისწინებინათ?)!

მეტისმეტი მარტო ერბო თუ კარაქი შეიძლება იყოს კარგი ფაფაში, თორემ, სხვა მხრივ, იგი, თუნდაც დემოკრატია, მუდამ რომ რეტისრეტია, ფაქტია.

ისე ევროპის გაკვირვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ, ქართველები, რომ დავრჩით პირდაღებულ-დარეტიანებული შეპირებული ჯერარნახული დემოკრატიით, ფაქტია.

არაა ეს პარგი საქმე!

გაცვეთილი ფეხსაცმელი და... ახლანდელი ხელფასით რეკორდსმენები

სტალინი ისე გარდაიცვალა, ხეირიანი ფეხსაცმელი არ დარჩენია. პირადი მაგალითით ასწავლიდა იგი ხელქვეითებს ხაზინის გაფრთხილების აუცილებლობას და ხალხის ფულის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობა-ფუფუნებისკენ სწრაფვის დაუშვებლობას.

ეს მაგალითი, ცხადია, ზემოდან ქვემოთ გადაეცემოდა ხოლმე ყველა „პირველს“.

„ჩვენს ეზოს ერთი ლეკვი შემოეჩვია. შავი ფერისა იყო და პელე შევარქვით...

ერთხელ პელე მანქანამ გაიტანა...

ამ დროს საიდანღაც მიხეილ თემუროვიჩი გამოჩნდა, ლეკვთან დაიჩოქა, თავზე უსვამდა ხელს, ეფერებოდა, რაღაცას ეუბნებოდა. პელემ მის ხელში დალია სული...

მიხეილ თემუროვიჩის დაკრძალვაზე რომ მივედი, ვნახე, გაცვეთილი ფეხსაცმელი ეცვა. გული შემეკუმშა. მაშინაც, პელეს სიკვდილის დღეს, ის ფეხსაცმელი ეცვა“.

ღმერთმა გაანათლოს!

ახლა კი ერთიღა ვიკითხოთ. ღმერთმა ყველა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ თუნდაც დღევანდელი ხელფასით რეკორდსმენ რომელიმე მაღალჩინოსანს (ისევ ვიმეორებ, ჯვარი სწერიათ!) უცებ მიქელა რომ გამოეცხადოს განუყრელი ცელით, დავიჯერო, გაცვეთილი ფეხსაცმლით დახვდება?

იმას კი არ ვქადაგებ, რომ თანამდებობის პირებმა ლანჩაგახვრეტილი ფეხსაცმლით იარონ და არანაირი ამქვეყნიური სიკეთით არ ისიამოვნონ, მაგრამ როდესაც ხალხს ასე უჭირს, შეიძლება 20 ათასი ლარი გძონდეს ხელფასი (პრემია-დანამატებზე არაფერს ვამბობ)?!

ერის წყლული მაჩნდეს წყლულადო, ტყუილად თქვა პოეტმა?

* * *

...არსად არ მომყავს მოგონებების ავტორთა სახელები და არც გვარები. თუნდაც იმიტომ, რომ ყოველივე ეს დაამძიმებს წიგნს. მე კი ძალიან მინდა, წიგნი იყოს საამო – ზღვის სურნელივით, მსუბუქი – მხიარულ სუფრასავით, მიხეილ თემუროვიჩის მიერ მონაყოლი ანეკდოტივით, ზაფხულის პლაჟივით ფერადოვანი, ჩიტის გალობასავით და ლამაზი ქალის სიცილივით სისხლის გამაშამპანიურებელი, – წერს ერთგან რომანის ავტორი.

გამოუვიდა თუ არა წიგნი სწორედ ასეთი ბატონ გურამს, ეს მკითხველმა განსაჯოს, რომელსაც მისი წაკითხვით ნაღდად ელის სიამოვნება.

წაიკითხეთ ეს პარგი წიგნი!

რუსლან რუსია

ახალი წიგნი

პოეტური და საჭადრაკო ნამსხვრევები

„სვლები, რომელთაც ვირჩევთ (პოეტური თარგმანები და საჭადრაკო კომბინაციები)“, – ასე ჰქვია როსტომ ჩხეიძის ახალ კრებულს, რომლის წარდგინებაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების – იმავე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ძალისხმევით ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა.

„ლირიკული ნამსხვრევები, რომელთაც ვერ შეველეოდი“, – თვითონ ავტორი ასე განმარტავს ამ პატარა კრებულის გამოცემის სულისკვეთებას და მათი თავმოყრით კიდეც ქმნის მოზაიკურ სურათს, რომელზეც ერთმანეთს ოსტატურად გადაეწვნება სხვადასხვა სივრცე – წარმოსახვითი, ცხოვრებისეული თუ საჭადრაკო – და ამ სამ განზომილებაში გვამოგზაურებს.

შეხვედრა მაია ჯალიაშვილმა გახსნა და შეკრებილებს განუმარტა, რომ წიგნში თავმოყრილია საინტერესო ამბები, თავგადასავლები და შეხვედრები პროფესიონალ მოჭადრაკეებთან – მათ შორის იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვთანაც ერთდროული თამაშის სეანსში – და პოეტური თარგმანები, რომლებიც აქამდე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში იყო გაბნეული და ახლა ერთად თავმოყრილი, მკითხველის ცნობიერებებში შემოიჭრება, როგორც ფიქრები აღმოსავლურ და დასავლურ პოეზიაზე. მათ შემაკავშირებლად ავტორი პოეტურ სულისკვეთებას მიიჩნევს, იმ გზნებას, ვნებასა თუ გატაცებას, ორივე განზომილებას რომ სჭირდება, ცხოვრებისეულთან ერთად. წიგნს ასევე ერთვის საინტერესო საჭადრაკო პარტიებიც, რომანტიკული ორთაბრძოლის საუკეთესო ნიმუშებადაც რომ წარმოგვიდგება, ერთ-ერთი კი შოთა ინწკირველისა და ლევან ბრეგაძის მიერ მოხსენიებულია „უკვდავად“ და შედარებულია ადოლფ ანდერსენის უკვდავ პარტიას.

რაც შეეხება თარგმანებს:

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ისინი პოეტურად, სტრუქტურულად, რითმისა და რიტმის თვალსაზრისით, მუსიკალურად თუ აზრობრივად ჰარმონიულობით გამოირჩევა და განსხვავებულად გვიხსნის უოლტ უიტმენის, პოლ ვერლენის, ჯეიმზ ჯოისის, იუსტან ჰიუ ოდენისა და იბნ აბუ რაბიძას პოეტური სამყაროს სხვადასხვა შრეს.

მომხსენებელმა გია მურღულიამ, როგორც მოყვარულმა მოჭადრაკემ, თავის მოხსენებაში ვრცლად ისაუბრა ამ საჭადრაკო პარტიებზე და აღნიშნა, რომ წიგნში თავმოყრილი ეს ნიმუშები, თარგმანების მსგავსად, შემოქმედებისა და ესთეტიკის სფეროს განეკუთვნება, სათაური კი „სვლები, რომელთაც ვირჩევთ“, თანაბრად მიესადაგება ჭადრაკსაც, თარგმანებსაც და ცხოვრებასაც, „რაკიღა ის, რასაც ვირჩევთ, საკუთარ ქცევასა თუ ფიქრზე არანაკლებ გვახასიათებს“.

როგორც ლიტერატორმა კი, ბატონმა გიამ ამჯერად პოეტური თარგმანებიც ჭადრაკის პრიზმიდან დაანახვა შეკრებილებს და დასძინა, რომ ეს ნიმუშები თავისთავადი, სრულფასოვანი და ღირებული ლიტერატურული ქმნილებებია, ავტორის სიჭაბუკისდროინდელ მცდელობებად მაინცდამაინც რომ არ აღიქმება და თავიანთი ადგილიც აქვთ თანამედროვე მთარგმნელობით პროცესებში.

ეს თარგმანები შეხვედრაზე ლიტერატურის კრიტიკოსის თვალითაც მიმოიხილეს და ამ ხუთი პოეტის შემოქმედების თავისებურებათა ფონზე წარმოაჩინეს როსტომ ჩხეიძის თარგმანების ღირებულება. ბოლოს კი ავტორს ისიც ჰკითხეს, როდის გაბედავდა საკუთარი ლექსების წარდგენას საზოგადოებისათვის.

ნინო ქუთათელაძემ პოეტურ თარგმანებზე საუბრისას ყურადღება უიტმენის ლექსებზე გაამახვილა კრებულიდან „ბალახის ფოთლები“ და აღნიშნა:

„მოგეხსენებათ, პოეტური თარგმანის ორი ტიპი არსებობს: ნაწარმოების თავისუფალი ინტერპრეტაცია – და ამაზე თვითონ როსტომიც წერს წიგნში, როცა გალაკტიონსა და ვერლენს ეხება – და იდენტური, ანუ ზუსტი. ამ კრებულში გამოქვეყნებული რამდენიმე ლექსი ორიგინალსაც შევადარე და კორნელი ჩუკოვსკის რუსულ თარგმანებსაც, და ჩემდა გასაკვირად, როსტომ ჩხეიძის თარგმანები უფრო ზუსტი მეჩვენა, თუმცა ეს შესაძლოა გრამატიკულ დროთა აღრევის ბრალიც იყოს, რაც არც ღირსებაა და არც ნაკლი“.

ამ საინტერესო მსჯელობაში ასევე მონაწილეობდნენ:დალილა ბედიანიძე, ნიკა სანებლიძე, ლია კარიჭაშვილი, თემურ ქორიძე, ნანა კუცია და თემურ ნადარეიშვილი... და აღნიშნეს, რომ როსტომ

ჩხეიძემ ამ წიგნით კიდევ ერთხელ გააკვირვა ლიტერატურული – და არა მარტო – საზოგადოება თავისი მრავალშრიანი შემოქმედების კიდევ ერთი წიაღის გახსნით და მადლობა გადაუხადეს ავტორს, რომ ეს ნიმუშები დასაკარგავად არ გაიმეტა.

– აჰა და... იყოსო, – თვითონ ავტორი ასე წერს წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში, – დარჩეს ეს ნაშთიც გაცრუებული განზრახვებისა.

ბოლოსდაბოლოს, ადამიანური ცხოვრებაც სხვაგვარად ანკი როგორ შეუფასებიათ, თუ არა ბორიალად გამქრალ ოცნებათა, აღუსრულებელ განზრახვათა სამაროვანზე, იმ ნამსხვრევებზე ფეხისგულებს რომ გიშაშრავს... და გიშაშრავს... და გიშაშრავსო“...

გიორგი სიხარულიძე

ნორჩთა შემოქმედება

შაბაშ სიტყვა!

წელს ჯი-ელ-სის სკოლა აღნიშნავს 20 წლის იუბილეს. ამასთან დაკავშირებით ამას წინათ აქ გაიმართა კონკურსი. უნდა გამოვლენილიყო საუკეთესო ლიტერატურული თხზულება. თემა ერთობ ნაცნობი გახლდათ - „მე და ჩემი სკოლა“.

ბევრი საგულისხმო ტექსტი შედგა. ნორჩთა წახალისების მიზნით გთავაზობთ ორ მათგანს. აქვე შევნიშნავთ: ქიანა შეიჯუნი საქართველოში მცხოვრები ირანელია. ამჟამად მე-7 კლასის შეგირდია, ხოლო ალექსანდრე გაფრინდაშვილი მე-6 კლასში სწავლობს.

ნორჩო მეგობრებო: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე!“

მურმან თავდიშვილი.

მე და ჩემი სკოლა

მე ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა. ჩემი სკოლაში ბევრი ბავშვი არიან. მე ბევრი მეგობრები მყავს. ყველაზე მეტად ჩვენ სართულზე ბავშვია. ჩვენ სკოლის ბუფეთში ძალიან გემრიელი საჭმელები არის. ჩვენ სკოლაში ძალიან კარგი მასწავლებლები არიან. მე მიყვარს მათ! მე ყველაზე მეტად მათემატიკა, ბუნება და ინგლისური მიყვარს. წინა წელს ჩვენც ვითამაშობთ სპორტზე, მაგრამ ახლა ბიჭები ფეხბურთი თამაშობენ. მე ჯერ არ მინდოდა აქ სწავლა, მაგრამ ახლა ძალიან მიყვარს ამ სკოლა. მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მე-7 კლასში ვარ, იმიტომ, რომ, აქ ყველაზე კარგი და ეშმაკი ბავშვები არიან. ჩემი სასიამოვნო დღე? ხუთშაბათია! იმიტომ, რომ ადვილი გაკვეთილები გვაქვს, მაგრამ პარასკევის ბოლო გაკვეთილიც მიყვარს იმიტომ, რომ ბუნება გვაქვს და იქით ოთახში მივდივართ და რაღაცეები ვაკეთებთ. ახლა გაკვეთილები უფრო რთულია, ვიდრე წინა წელს. მე მინდა, რომ კარგათ ვისწავლე ქართული ენა და მეც გავაკეთი დავალებები!

ქიანა შეიჯუნი

მე და ჩემი სკოლა

თავი I

ჩემი სკოლა GLC თბილისში მდებარეობს. ის TOP 10-ეულშია მოხვედრილი. იშვიათია, რომ სკოლამ ამდენი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს ადგილი TOP 10 – ეულში და ხალხის ნდობა. ამ სკოლის მიზანია აღზარდოს ბავშვები ისე, რომ მათ წარმატებული მომავალი ჰქონდეთ.

ყველა მასწავლებელი მომწონს, თუმცა, ვფიქრობ, არც ერთ მასწავლებელს ეწყინება, რომ ჩვენი ქართულის მასწავლებელი ნინო ბასილაშვილი გამოვარჩიო. იგი მიიჩნევს რომ კითხვას ნებისმიერი სენის განკურნვა შეუძლია და ამაში ჩვენც ვეთანხმებით. მის გამო ჩვენ ყოველ ორშაბათს კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის დღე გვაქვს.



მასწავლებლები არა მარტო საგანს გვასწავლიან, არამედ ბიჭების კაცობასა და გოგოების ღირსეულ მანდილოსნობაზე ზრუნავენ. ისევ წიგნს ვეხები. ჩვენ მიერ შესწავლილი ერთ-ერთ ნაწარმოებში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, გამოვარჩევ ერთ-ერთ ფრაზას: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები იმაზე უკეთესი, ვიდრე იყავი“. მაგალითად, ვაჟას ერთ-ერთი უკვდავი პოემიდან გავიხსენებდი: „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადია, კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯელა, როგორ დიდ ცოდვას სჩადიან, რამდენი ავსული ვიცი, წარბშეუხრელად დადიან, თავის მტანჯველის შემუსვრა ან კი ვის არა სწადია“.

ახლა ცოდნაზეც მივედით. თქმით: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა – სიბნელე.“ ჩვენ თუ ჯეროვნად არ ვისწავლით, ეს დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მშობლების მიმართ, რადგან სწავლა საკმაოდ დიდ საფასურს ითხოვს, თუმცა ეს ყველაფერი ღირს ჩვენი მომავლისათვის. მეამაყება, რომ ამ სკოლის კედლებში ვიზრდები. სკოლა – აი, აქედან იწყება ურთიერთობა.

თავი II

მატემატიკა: გვერდი 50, №1-8, გვ. 51, №25

ქართული: გვერდი 56, ლადო ასათიანის ლექსი „ბარდნალა“ ზეპირად.

ჩვენი საქართველო: გვ. 70 (თხრობით)

ბუნება: გვ. 50, როგორი ნარევები არსებობს?

ეს არის ის, რაც ძალიან გეზარება და ჯიუტობ, ცდილობ მის თავიდან აცილებას. სკოლა. ცოდნის ტაძარი, კარგი მომავლის გარანტია, ადგილი, სადაც ჯერ ცოდნის ნაპერწკალი, შემდეგ კოცონი და ბოლოს დიდი აგიზგიზებული ცეცხლი ჩნდება და ღვივდება. ადგილი, სადაც ბევრი მეგობარი გვყავს. გვერდში უდგახარ და გვერდში გიდგას. ერთად გალახულხართ და გაგილახავთ კიდეც, გიტირიათ და გიცინიათ კიდეც. ერთის ტკივილი ყველას ტკივილია. ორიანი, ათიანი – ეს ორი უკიდურესობაა ჩვენი დამაკავშირებელი. ზოგჯერ ბრაზდები მასწავლებლებზეც, რადგან ისინი ხანდახან რვიანს, შვიდიანს, ექვსიანს, ორიანს გიწერენ და ეს ხომ ისევ და ისევ შენი ბრალია. ცოდნაა ის, რასაც ვერ იყიდის ფული, ვერ დააშორებს მანძილი, ვერ დაანგრევს დრო, რასაც არ გააჩნია ზღვარი. „არს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების“. „ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა, თავს სინანული სჯობია ბოლო ჟამს დანანებასა, ჭირს მყოფი, ლხინში შესული შვებად მიითვლი ვნებასა“. აქ წარუმატებლობაც შეგხვდება. ამ დროს მოვა ჩემთან: სამანა, სახლთხუცა, ლეო, ნიკოლოზა... და მეტყვიან: „LET IT BE“, ანუ „ცხოვრება გრძელდება“.

არდადეგები შენი საყვარელი დროა, ზამთრის თუ ზაფხულის – ვუსმენდი შოპენს. მერე ათოვდა ქაშვეთს, ზამთარმა ისევ შემაყვარა მარტო დარჩენა, ცოცხით დასდევდა მეეზოვე თოვლიან ბავშვებს, ცოცხით, რომელიც ჰგავდა ფარშევანგს.

GLC-ს: ჩემი მადლიერება თქვენთვის მომიძღვნია,

კარგი სიმღერა თქვენთვის მიმღერია,
ტანგოც და ვალსიც თქვენთვის
მიცეკვია,
ჩემთვის თქვენი ცოდნა
პირველთ პირველია!



ალექსანდრე გაფრინდაშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

კრემლი მზად არის პოზიციის დასათმობად?

მიმდინარე წელს რუსეთმა შეიძლება გააუქმოს სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისათვის. ასეთი ვარაუდი გამოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობაში ზურაბ აბაშიძემ. ამავე დროს ცნობილი გახდა მიახლოებითი ვადები სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით ევროკავშირთან. წინა დღით ევროკომისიამ ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოში გაგზავნა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის განხილვასაც სულ რაღაც 2-3 თვე დასჭირდება.

საქართველოს მთავრობის სხდომა დაიწყო რამდენადმე არაჩვეულებრივად: მანამ, სანამ გადავიდოდნენ სამუშაო დღის წესრიგზე, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საზეიმოდ გადაუხადა მადლობა ყველას, ვინაც ძალისხმევა არ დაიშურა, რათა საქართველოს მოქალაქეებს შეძლებოდათ ეროვკავშირში ჩასვლა ვიზების გარეშე:

„ევროკომისია წინა დღით გამოვიდა საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ. ეს არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი. ეს მეტად დიდი წარმატებაა ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი ხალხისთვის. მინდა, გამოვთქვა დიდი მადლობა ყველა ჩვენი მეგობრის, პარტნიორის, იმათ მიმართ, ვინც შეიტანა თავისი წვლილი ჩვენი ქვეყნისთვის ამ დიდმნიშვნელოვან პროცესში. ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული ინიციატივა განხილული იქნება ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტში და, ალბათ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ეს პროცესი წარმატებით დამთავრდება“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

იმედს, როგორც ჩანს გვინერგავს მიგრაციის, შინაგან საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროსაბჭოს კომისრის დიმიტრის ავრამოპულოსის განცხადება. ევროპელმა ჩინოვნიკმა განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც განიხილავენ საკანონმდებლო ინიციატივას და მას მოიწონებენ ევროპარლამენტი და ევროპის საბჭო, საქართველო შეტანილი იქნება იმ სახელმწიფოთა სიაში, რომელთა მოქალაქეებსაც არ სჭირდებათ ვიზები შენგენის ზონის მონახულებისათვის. ავრამოპულოსის სიტყვებით, საბოლოო დადებითი გადაწყვეტილება საქართველოსთვის შეიძლება მიღებული იქნეს უკვე ივნისში. ამ დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმება არ ითვალისწინებს მუშაობას ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, რომელმაც მოქალაქეებს მიმართა, განმარტა, თუ რა რისკებს შეიცავს უვიზო რეჟიმით სარგებლობის მცდელობა ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობისათვის:

„როდესაც გაიხსნება საზღვრები, ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა იფიქრონ არა მხოლოდ თავის რეპუტაციაზე, არამედ სახელმწიფოს რეპუტაციაზეც. სავიზო რეჟიმის გაუქმება სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია გავემგზავროთ ევროკავშირში და დავრჩეთ იქ საცხოვრებლად. ეს ასევე არ გვაძლევს უფლებას, გავემგზავროთ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში და დავრჩეთ იქ სამუშაოდ. თუ ასეთი რამ მოხდება, ეს იქნება წესის დარღვევა. საქართველოს მოქალაქეს ვინც ამ წესებს დაარღვევს, ჩვენ დავაბრუნებთ უკან საქართველოში და რამდენიმე წლის განმავლობაში მას აეკრძალება ევროკავშირში ჩასვლა“, — განმარტა წულუკიანმა. მან ასევე მოუწოდა საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან ევროკავშირის ქვეყნებში, მოახდინონ იქ თავიანთი ყოფნის ლეგალიზება.

ამ დროს უახლოეს მომავალში საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმი შეიძლება გააუქმოს მოსკოვმაც. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობაში ზურაბ აბაშიძემ. თუმცა, უფრო ზუსტი ვადები შესაძლო გაუქმების შესახებ დიპლომატს არ დაუსახელებია:

„ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სავიზო რეჟიმი შეიძლება გაუქმდეს უკვე მიმდინარე წელს. ამის შესახებ მიუთითებს რუსეთის პრეზიდენტის და რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის შესაბამისი კომენტარები. ვნახოთ“, — თქვა აბაშიძემ. ამ დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი სხვა საკითხებთან ერთად განიხილება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან მომავალ შეხვედრაზე პრაღაში, 16 მარტს.

თუმცა, ქართველ ექსპერტს საერთაშორისო ურთიერთობებში კახა გოგოლაშვილს მიაჩნია, რომ რუსეთის პირველი პირების რეკომენდაციები სულაც არ ნიშნავს სავიზო რეჟიმის გაუქმების გარანტიას. ექსპერტს ეჭვი ეპარება, რომ საქართველოს მოქალაქეები უახლოეს მომავალში შეძლებენ რუსეთში ჩასვლას უვიზოდ. მისი აზრით, ამას ორი ფაქტორი უშლის ხელს:

„ჯერ ერთი მოსკოვს ყოველთვის მიაჩნდა, რომ სავიზო ლიბერალიზაციის საკითხი შეიძლება დავუკავშიროთ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხს. და მას არ შეუძლია დაკარგოს ეს ბერკეტი. მეორე საკითხი შეეხება რუსულ პასპორტებს, პასპორტიზაციას. ესეც რუსეთის რბილი ძალის ელემენტია — მისცეს საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აიღონ რუსული პასპორტები და ამით მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა. ქვეყანაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთი ბერკეტია საქართველოში რუსი მოქალაქეების რაც შეიძლება მეტი ოდენობის ყოფნა. და ვიზების სრული გაუქმების შემთხვევაში რუსეთის მოქალაქეობის მიღების აუცილებლობა ქრება“, — ამბობს გოგოლაშვილი. მისი სიტყვებით, რუსული პასპორტების მიღებას ცდილობენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებსაც ხშირად უწევთ მოსკოვში ყოფნა, იცხოვრონ ორ სახლში, ანდა რომლებსაც იქ ჰყავთ ახლო ნათესავები, ამას გარდა რუსულ პასპორტებს ღებულობენ საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

გოგოლაშვილს ასევე მიაჩნია, რომ მოსკოვში ყურადღებას გაამახვილებენ იმაზე, თუ როგორ აისახება საქართველოს მოქალაქეების განწყობილებაზე ვიზების გაუქმება ევროკავშირთან. იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის მხარდაჭერა, რაც საქართველოში ისედაც მაღალია, გაიზრდება კიდევ უფრო მეტად, მოსკოვი აუცილებლად გააუქმებს სავიზო რეჟიმს, რათა როგორმე გაზარდოს თავისი გავლენა ქვეყანაში. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ევროკავშირთან ვიზების გაუქმების შემთხვევაში, კრემლის პოზიციები წინასწარვე იქნება წამგებიანი.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

უკრაინაში სამხედრო-საზღვაო ძალებში ვითარებით შეშფოთებული არიან

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ სათანადო ორგანიზაციების ღია წერილის შემდეგ შეამოწმა სამხედრო-საზღვაო ძალები. წერილში ბრალს სდებდნენ უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალს სხვადასხვა დარღვევებში. დადასტურდა, რომ მეზღვაურების მომარაგება საშინელ მდგომარეობაშია, დეზერტირობის ფაქტებს მალავენ, ოფიცრები კი, მიუხედავად უკრაინის უშიშროების საბჭოს აკრძალვისა, ჩადიან ყირიმში.

მასშტაბური ბლეკაუტი მექსიკაში: ელექტროდენის გარეშე დაახლოებით 3,5 მილიონი კაცი დარჩა

ძლიერმა ქარებმა და ნალექებმა, რომლებმაც მექსიკის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში „ცივი ფრონტი“ გააჩაღეს, გამოიწვია ელექტრომომარაგების დაკარგვა ქვეყნის 26 რეგიონში. ქარის სიჩქარე 70 კილომეტრს საათში აღწევდა. დაზიანდა 1,7 ათასზე მეტი სახლი. ჯერჯერობით მსხვერპლი არ ყოფილა.

სერბეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა რუსეთს სრებრენიცაში ხოცვა-ჟლეტის გენოციდად უღიარებლობის გამო

ვლადიმერ პუტინი, თავის მხრივ, დაჰპირდა ბელგრადს მოსკოვის მხარდაჭერაში ყველა საკითხში, სადაც სერბეთი იცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას, ესე იგი არ აღიარებს კოსოვოს რესპუბლიკას, რომლის დამოუკიდებლობაც სერბეთისაგან ალბანეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა 2008 წელს.

სამართლიანობის სახელით: ხელისუფლებამ ამერიკელ 93 წლის ქალბატონს გადასცა დიპლომი სკოლის დამთავრების შესახებ

„ყოველთვის მიჭირდა ამ საქმეში“, — აღიარა იუბილარმა, რომელმაც 70-ზე მეტი წლის წინათ ვერ შეძლო, დაემთავრებინა სკოლა აკრძალვის გამო — მიიღონ განათლება იმ პირებმა, ვინც ქორწინებაშია. სკოლაში მისი ქორწინების შესახებ გაიგეს შემთხვევით — ქალიშვილმა დავის დროს წამოაყრანტალა: „მე გათხოვილი ვარ“.

არაბული სახელმწიფოების ლიგის ახალი ხელმძღვანელი ეგვიპტის საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი გახდა

გადაწყვეტილება ახმედ აბუალ-გეიტის დანიშვნის შესახებ მიიღეს კაიროში გამართული რეგიონალური გაერთიანების სამინისტროს საბჭოს რიგგარეშესესიის შედეგების მიხედვით. იგი გაიმართა კენჭისყრის გარეშე — არაბული სახელმწიფოების ლიგის კომუნიკეში საუბარია, რომ შეხვედრის მონაწილეები „მივიდნენ საერთო შეთანხმებასთან“. ამ დროს ზოგიერთ ქვეყანას აქვს პრეტენზიები დიპლომატისადმი.

პოროშენკომ განაცხადა, რომ „ეზიზღება რუსეთთან ომი“, და დაგვპირდა, დონბასი ერთ წელიწადში „დაიბრუნოს“

„მე მეზიზღება რუსეთთან ომი, მაგრამ, როგორც მთავარსარდალი, იძულებული ვარ, დავიცვა უკრაინა“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა პიოტრ პოროშენკომ თურქეთის ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში. ამას გარდა უკრაინის ხელმძღვანელმა კვლავ ბრალი დასდო რუსეთს მინსკის შეთანხმებათა დაუცველობაში, აღნიშნა, რომ უკრაინა მტკიცედ იცავს შეთანხმებებს.

„როიტერი“: რუსეთი და დასავლეთი სირიის ფედერაციის შესაძლებლობის შესახებ საუბრობენ

დიპლომატიური წყაროების მონაცემებით, სირიის არაბთა რესპუბლიკაში ფედერალური მოწყობა საშუალებას მისცემს მას, შეინარჩუნოს ომის მიერ გათიშული სახელმწიფოს ერთიანობა და ამავე დროს მიანიჭოს რეგიონალურ ხელისუფლებებს ფართო ავტონომია. შესაბამისი წინადადება უკვე გადაეცა გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს სირიის საკითხებში სტეფან დე მისტურას.

◎ ადამიანი დროში

სვანური მურყვამივით წელგამართული





სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აქტიურ მოღვაწეს, საქართველოს დამსახურებულ მექანიზატორს გივი ქურდიანს 2016 წლის 13 მარტს 80 წელი უსრულდება. იგი დაიბადა მესტიის რაიონის სოფელ მულახში. იქაური საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1958 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა და, როგორც მოწინავე სტუდენტი, იქვე დატოვეს სამუშაოდ.

1964 წელს გ. ქურდიანი გადაიყვანეს „საქსოფლტექნიკის“ დიღმის სარემონტო ქარხანაში საამქროს უფროსად, 1970 წელს კი იგი ამ ქარხნის მთავარი ინჟინერი გახდა, რომელ ქარხანასაც სოფლის მეურნეობაში არსებული ტექნიკის შიგაწვის ძრავების კაპიტალური შეკეთება ევალებოდა. ამ პერიოდში გ. ქურდიანი ორჯერ გახდა საკავშირო გამოფენის მონაწილე და დაჯილდოვდა შესაბამისი მედლებით. მის მიერ შექმნილმა და დანერგილმა ახალმა მექანიკურმა მოწყობილობამ, რომელიც ტექნიკის შეკეთებას აუმჯობესებდა, გავრცელდა რესპუბლიკის გარეთ არსებულ სარემონტო ქარხნებშიც.

ბატონი გივი 1977-78 წლებში მუშაობდა საგარეჯოს ავტოშემკეთებელ ქარხანაში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე, 1978 წელს კი დაინიშნა „საქსოფლტექნიკის“ დიღმის სარემონტო ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილედ.

გ. ქურდიანი 1979 წლიდან ხუთი წელი მუშაობდა მესტიის რაიონში „საქსოფლტექნიკის“ საწარმოო გაერთიანების მმართველად, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით მესტიის რაიონის ალპურ ზონაში სათიბ-საძოვრების ათვისებისათვის გაიყვანეს 45 კმ-იანი საავტომობილო გზა, მეცხოველეობის ფერმებთან მიიყვანეს სასმელი წყალი, რომელსაც დღესაც იყენებს რაიონის ექვსი სოფლის მოსახლეობა, და ამ ღონისძიებების გატარებით მან ხელი შეუწყო რაიონის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ პერიოდში მან სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო მესტიის რაიონში საბჭოთა მეურნეობების გაუქმებასა და მათ გლეხურ მეურნეობაზე გადაყვანის საქმეში, რითაც დაეხმარა რაიონის მოსახლეობას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ფასების 40%-ით გაზრდაში და ამ ღონისძიებების განხორციელებით თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

1984 წელს გ. ქურდიანი მუდმივ საცხოვრებლად და სამუშაოდ გადმოვიდა ქ. თბილისში და დაიკავა დიღმის სარემონტო ქარხნის დირექტორის თანამდებობა.

1988 წელს აღნიშნული ქარხნის ბაზაზე შეიქმნა შპს „აგრორემმანქანასერვისი“, რომელიც იმ დროს პირველი იყო საქართველოში, და 1996 წელს ქარხნის კოლექტივმა გამოისყიდა ქარხნის მთლიანი ქონება.

წარმოებაში სიახლეებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისთვის გ. ქურდიანი არაერთჯერ დაჯილდოვდა ფულადი პრემიით და გადაეცა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

1991 წელს ბატონი გივი, თავის სვან მეგობრებთან ერთად, მონაწილეობდა სვანური სამართლებრივი წესით ჯ.იოსელიანისა და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას შერიგებაში, რასაც, სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყოლია ოსეთთან დაწყებული არეულობების გამო.

გივი ქურდიანი ცნობილია, როგორც ქველმოქმედი. მან დიდი მატერიალური დახმარება გაუწია გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს. აფხაზეთის ომის დროს თავდაცვის ფონდში გადარიცხა ხუთ მილიონზე მეტი თანხა, გვერდში დაუდგა და დაეხმარა ქ. თბილისში გადმოსულ ლტოლვილებს და გაუწია მათ როგორც ფულადი, ისე მატერიალური დახმარება. იგი საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნებაა და მისი სახელი ასოცირდება ქვეყნის, ოჯახის, საქმის სიყვარულთან და უანგარო მეგობრობასთან. ჰყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი და ხუთი შვილიშვილი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბატონი გივი დღესაც ენერგიულად განაგრძობს თავის საყვარელ საქმიანობას კოლექტივის მიერ შეძენილი ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე, დამფუძნებელია და არჩეულია საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ.

ბატონმა გივიმ კაცური ღირსებით და სიკეთის კეთებით განვლო ცხოვრების გრძელი გზა და იგი ხანგრძლივ სიცოცხლესა და საზოგადოების პატივისცემას იმსახურებს.

ღმერთმა მისცეს სვანეთსა და სრულიად საქართველოს ისეთი ღვაწლმოსილი შვილები, როგორიც ბატონი გივი ქურდიანია, რომელიც ღირსეულად ამართლებს თავისი შესანიშნავი დიდი გვარის სახელს.

ირაკლი დვალი,

საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მექანიზატორი

◎ სოციალური თავსატეხი

მსოფლიოს ნაცრისფერი ცუნამი ემუქრება...

კი მაგრამ, ვინ უნდა არჩინოს პენსიონერი?!

წამყვანი ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთს პირველობისთვის ეცილებიან, რამდენიმე წელია, საგონებელში არიან. მიზეზი ის არის, რომ ტექნოლოგიურმა წინსვლამ ადამიანის სიცოცხლე გაახანგრძლივა. ანუ პენსიონერთა წილი საერთო მოსახლეობაში გაიზარდა, ამიტომ პენსიის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან სულ უფრო მეტი ხარჯის გაწევა გახდა საჭირო. ექსპერტებმა პირობითად, დემოგრაფიული პირამიდის ამოყირავებას „ნაცრისფერი ცუნამი“ უწოდეს, რომელიც მსოფლიოს ემუქრება.

სხვადასხვა ქვეყანამ, ჯერჯერობით, საპენსიო პრობლემების მოგვარება საპენსიო ასაკის ზრდით დაიწყო, მაგრამ ამის იქით, მათი სოციალური პოლიტიკა არ წასულა. განვითარებული ქვეყნები, მეტ-ნაკლებად, უმკლავდებიან სოციალურ სფეროს მყარად მდგარი ეკონომიკის ფონზე. ამის უთვალსაჩინოესი მაგალითი გერმანიაა... მაგრამ რა ხდება საქართველოში, სადაც დღევანდელი პენსია საარსებო მინიმუმს არ აღემატება და პენსიონერის ღირსეულ ცხოვრებას ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს. საბედნიეროდ, სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოშიც იზრდება, მაგრამ ეს ხდება მოსახლეობის კლების ხარჯზე, მით უფრო, შრომისუნარიანი ადამიანების შემცირების ხარჯზე.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირების თანახმად, მთავრობა აქტიურად მუშაობს საპენსიო რეფორმის პროექტზე, თუმცა, ხელშესახები პროგრამა ჯერ მზად არ არის. თანაც იმ ვერსიას, რომელსაც ხელისუფლება ამუშავებს, უკვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები. მათ შორის პროფესიული კავშირების გაერთიანება, რომელმაც საპენსიო სისტემის მომავალთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა შეიმუშავა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ირაკლი პეტრიაშვილი** ხაზგასმით ამბობს, რომ **„საბჭოთა პერიოდში პენსიონრები უკეთესად ცხოვრობდნენ. დამოუკიდებელ საქართველოში კი პენსია დისკრიმინაციულია. მაგალითად, პარლამენტარის პენსია 3-4-ჯერ მეტია, ვიდრე იმ ადამიანისა, ვინც ღირსეულად ემსახურა თავის ქვეყანას, ოღონდ სხვა სფეროში. კანონით არ შეიძლება 56 წლის ასაკის მეხანძრე დასაქმებული იყოს. ამავე დროს მას 65 წლამდე პენსია არ ერგება. მთელი ეს ათი წელიწადი რითი უნდა იარსებოს? — ამაზე სახელმწიფოს პასუხი არა აქვს!“**

რაც შეეხება მთავრობის საპენსიო რეფორმის პროგრამის ნაკლოვანებებს, ექსპერტები რამდენიმე ნიუანსს გამოყოფენ: გეგმა გულისხმობს საპენსიო დაგროვებითი სისტემის შემუშავებას, რომელიც დაგროვებაზეა ორიენტირებული და არ ითვალისწინებს სოციალური დაცვის გარანტიებს, გეგმაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ 45 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს; გეგმის ის ნაწილი, რომელიც დაგროვებას ეხება, არ

არის სავალდებულო და შესაბამისად საქართველოს მოსახლეობა, რომელიც არ არის დაზოგვისკენ მიდრეკილი, მცირე მასშტაბით ჩაერთვება აღნიშნულ გეგმაში, რაც გამოიწვევს ამ მოსახლეობის რთულ მდგომარეობაში აღმოჩენას საპენსიო ასაკის მიღწევისას.

რაც შეეხება გაერთიანებული პროფკავშირების ვერსიას, მათ მიაჩნიათ, რომ **სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს საპენსიო დაზღვევის სახით და არა, როგორც კერძო დაგროვებითი სისტემა. საპენსიო ფონდის დაფინანსების წყარო იქნება დამსაქმებლისა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შენატანები. სახელმწიფო ამ შენატანებს გააკეთებს საშემოსავლო გადასახადიდან, რომელსაც დასაქმებული იხდის.** ისინი ფიქრობენ, რომ მთელი რიგი კომპონენტების გათვალისწინებით გეგმას ბენეფიციარი ეყოლება პირველივე წლის ბოლოს, ნაცვლად 15 წლისა. რაც მთავარია, ეს საპენსიო სისტემა სოლიდარობის პრინციპზეა აგებული და ითვალისწინებს უმცირესობათა ინტერესებს.

პროფესიული კავშირების გაერთიანების ალტერნატიული საპენსიო სისტემას მხარს უჭერს ფრიდრიხ ებერტის ფონდი, რომელმაც ამ ვერსიის შესაფასებლად რამდენიმე უცხოელი ექსპერტი მოიწვია. მათ შორის, გერმანიის პროფკავშირების კონფედერაციის წარმომადგენელი **ჰანიო ლუკასენი,** რომელიც მიიჩნევს, რომ **„პეტრიაშვილისეული საპენსიო სისტემის მოდელი განხორციელებადია. ევროკავშირთან ასოციირების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, ჩამოაყალიბოს თანამედროვე საპენსიო სისტემა. ამის პირობა დადო ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ, როცა გერმანიაში ვიზიტით იმყოფებოდა“.**

რაც შეეხება მთავრობის პოზიციას, ისინი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდნენ პროექტს. ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი **ოთარ ძიძიგაშვილი** ამბობს, რომ **„გეგმის ფინანსური მოდელი საკმაოდ რთული შესამუშავებელია. ნებისმიერ პატარა პარამეტრის ცვლილებასაც კი შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ბიუჯეტზე. ეს არის სისტემა, რომელიც გათვლილია იმ ქვეყანაზე, რომელსაც მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი აქვს“.** რა თქმა უნდა, ხელისუფლება ემხრობა კერძო დაგროვებითი სისტემის მოდელს. ანუ საბაზისო პენსიას დაემატება ის დამატებითი შემოსავალი, რომელსაც ადამიანები პენსიაზე გასვლამდე დააგროვებენ.

რა თქმა უნდა, ხელისუფლების პოზიცია გასაგებია, მაგრამ გვახსოვს ისიც, რომ რამდენიმე ბანკმა ბოლო წლებში შექმნა კიდეც კერძო საპენსიო ფონდი, თუმცა, ამ სისტემამ არ გაამართლა. ინტერესი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ გამოუჩენია.

ირაკლი პეტრიაშვილისთვისაც მთავრობის მოდელი არ არის მისაღები. **„ეს არ არის სოლიდარობის პრინციპი, მით უფრო, როცა მთავრობის გეგმით დაგროვება ნებაყოფლობითია. საქართველოში კი დაგროვების კულტურა ნაკლებია. ეს არის ყულაბის პრინციპი. ბოლოს და ბოლოს, თუ დაგროვება მომინდა, წავალ და ფულს სადმე შევინახავ, სულაც დავმარხავ!“**

ამ თემაზე დებატები გრძელდება. პროფკავშირები ხელმოწერების შეგროვებას და ამ გზით პარლამენტში კანონპროექტის შეტანას აპირებენ. ფაქტი კი ის არის, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული სურათი შეცვლილია. იზრდება ხანდაზმულ ადამიანთა რიცხვი, მაგრამ მცირდება სამუშაო ადგილები, დასაქმებული ახალგაზრდების რაოდენობა. ამ დროს იბადება სრულიად ლეგიტიმური კითხვა, კი მაგრამ, ვინ უნდა არჩინოს პენსიონერები?!

თუ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს ვაჟა ჯაბაშვილს დავუჯერებთ, **„უნდა გადაიხედოს დასაქმების პოლიტიკა. ასაკოვან კვალიფიციურ კადრებს დასაქმების შანსი უნდა გაუჩინოს ქვეყანამ. როცა სახელმწიფო ამ დეტალებს გამოასწორებს, პენსიონერის რჩენა ნაკლებად პრობლემური იქნება.“**

ცნობისთვის: საქართველოში 900 ათასამდე პენსიონერია...

თეა მოსია

◎ ოლიმპიური ჩემპიონები

რობერტ შავლაყაძის დაძლეული სიმაღლეები

1960 წლის 25 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით XVII ოლიმპიურ თამაშებს იტალიის დედაქალაქმა რომმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 83 ქვეყნის 5338 სპორტსმენი (მათ შორის 611 ქალი) მონაწილეობდა. საგულისხმოა, რომ სამშობლოში მოპოვებული თითო ოქრო-ვერცხლის მედლით დაამთავრა ოლიმპიური კარიერა სახელგანთქმულმა იტალიელმა მოფარიკავე ედოარდო მანჯიაროტიმ (იგი ერთხელ ჩვენებურ რაბირისტ იური ოსიპოვს დაუმარცხებია), რომელმაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ოლიმპიური თამაშების 13 (6 ოქრო, 5 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) და მსოფლიოს ჩემპიონატების 20 (13 ოქრო, 5 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) მედალი მოიპოვა.

რომის თამაშებზე საქართველოს საბჭოთა კავშირის ნაკრებში 16 წარმომადგენელი ჰყავდა, რომლებმაც 2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. იტალიის დედაქალაქში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა სიმაღლეზე მხტომელმა რობერტ შავლაყაძემ. მან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა უდავო ფავორიტად მიჩნეული ამერიკელი ჯონ თომასი, ასევე, თანაგუნდელი ვალერი ბრუმელი. ოლიმპიადაზე ჩვენებურთაგან მეორე „ოქრო“ კლასიკურ ჭიდაობაში ავთანდილ ქორიძემ დაიმსახურა. მეორე ადგილებზე გავიდნენ: გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა), გურამ მინაშვილი (კალათბურთი), ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი), გივი ჩიქვანაია (წყალბურთი) და ლერი გოგოლაძე (წყალბურთი), ხოლო ვლადიმერ რუბაშვილს (თავისუფალი ჭიდაობა), გივი კარტოზიას (კლასიკური ჭიდაობა) და გურამ კოსტავას (ფარიკაობა) ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

ულვაშა ძართველი, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელთა ჰეგემონია დაამხო

ჯერ კიდევ ღამის ბინდბუნდში იყო ჩაფლული თბილისი, ვახუშტის ქუჩის ერთ-ერთი სახლიდან ფეხშიშველა რომ გამოვიდა შუახნის ქალბატონი. ირგვლივ მიმოიხედა, ჩამიჩუმი არ ისმოდა. სწრაფი ნაბიჯებით გასწია დიდუბის ეკლესიისკენ, სამჯერ შემოუარა ტაძარს, დარაჯი გააღვიძა და კარი გააღებინა, უფლის ხატთან სანთლები დაანთო, ილოცა და შინ ისე დაბრუნდა, არავის შეუმჩნევია. ოთახში რომ შედიოდა, სწორედ იმ დროს ფანჯარას მტრედი მოაწყდა. კეთილად ენიშნა დედას. შვილები გააღვიძა და თვალცრემლიანმა დაბეჯითებით უთხრა - დღეს თქვენი ძმა ჩემპიონი გახდებაო.

ეს მოხდა 1960 წლის პირველ სექტემბერს გამთენიისას. სწორედ იმ დროს კი შორეულ იტალიაში ღრმა ძილით ეძინა მარადიულ ქალაქს ახალი ორთაბრძოლებისა და სენსაციების მოლოდინში. ოლიმპიური სოფლის მხოლოდ ზოგიერთი სახლის ფანჯრებიდან თუ გამოკრთოდა მბჟუტავი შუქი. ალბათ, მწვრთნელები ადგენდნენ ახალი დღის პაექრობათა გეგმებს. არ ეძინა მძლეოსანთა საკავშირო ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვლადიმირ დიაჩკოვსაც – ოთახში ბოლთას სცემდა: „ნეტავ, რას იზამენ ბიჭები?.. თუ დაჯაბნიან თომასს... ბრუმელის იმედი უფრო მაქვს... ის ულვაშა?..“ – მოძალებულ ფიქრებს ძლივს ართმევდა თავს.

იმ ულვაშა ქართველს კი ამ დროს უშფოთველად ეძინა, მხოლოდ მშვიდი სუნთქვაღა ისმოდა ოთახში. „ეჰ, ამის ნერვები მომცა. ისე ფშვინავს, თითქოს დღეს შეჯიბრება სულაც არ ჰქონდეს“, – გაუელვა თავში გამოღვიძებულ მეზობელს, ერთი ამოიოხრა და მხარი იცვალა...

თომასის მაკრატელა და კაშკაროვის ხრიკები

დუღდა და გადმოდუღდა იმ დღეს „ფორო იტალიკო“. რომის ოლიმპიური სტადიონის სიმაღლეზე ხტომის სექტორთან უამრავ მაყურებელს მოეყარა თავი. ყველას უნდოდა ახლოდან ენახა ხუთგზის მსოფლიოს რეკორდსმენის, ჩიკაგოელ კენგურუდ მონათლული ჯონ თომასის მორიგი გამარჯვება. ქომაგთა კერპს ჟურნალისტებიც არ აძლევდნენ მოსვენებას: სურათებს უღებდნენ და რედაქციებში ინფორმაციებსაც კი გზავნიდნენ, როგორც მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონზე. თომასიც ღიმილით იღებდა მილოცვებს. საბჭოთა სპორტსმენები, რომელთა შორის თბილისელი რობერტ შავლაყაძეც ერია, შორიდან უყურებდნენ ამ თვალსასეირო სურათს. ზოგი რას ფიქრობდა, ზოგი – რას. ერთადერთი ქართველი მძლეოსანი არად აგდებდა ამერიკელისადმი გადამეტებულ ყურადღებას. არც წინა დღეებში დასწყვეტია გული, როცა ოლიმპიურ სოფელში თომასთან ერთად მოსეირნე არად ჩააგდეს ჟურნალისტებმა და მასზე 12 სანტიმეტრით მაღალ მეტოქეს ტყვიასავით მიაყარეს კითხვები.

ასპარეზობამდე ერთი დღით ადრე საბჭოთა სპორტსმენები ოკეანისგაღმელთა ვარჯიშს დაესწრნენ. აი, რას წერდა მაშინ „დეილი ამერიკენი“: „გუშინ ჯონ თომასმა რუსი მხტომელების თანდასწრებით სასწაულები ჩაიდინა. ეს უკვე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა. რუსები პანიკაში არიან“. არადა, ამ სიტყვების ავტორი რას იფიქრებდა, ქართველმა ათლეტმა სწორედ იმ ვარჯიშზე ირწმუნა, რომ თომასის დამარცხება შეიძლებოდა.

– ამერიკელმა ვარჯიშზე საოცარი მაკრატელა გვიჩვენა: ერთი ფეხი მიწაზე ედგა, მეორე საფეხურთო კარის ხარიხის ზემოთ ასწია, – მითხრა რობერტ შავლაყაძემ. – როცა სიმაღლეზე ხტებოდა, მისი მწვრთნელი ჩვენს გასაგონად ხმამაღლა ამცნობდა შედეგებს – 210, 215, 220 სანტიმეტრი აიღეო. ჩემს თანაგუნდელებს – ვალერი ბრუმელსა და ვიქტორ ბოლშოვს ლამის გული შეუწუხდათ. თომასის შესაძლებლობებმა გულგრილი დამტოვა-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ ნამდვილად არ შემშინებია, პირიქით, ბრძოლის ჟინი მომემატა. სხვა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, ოლიმპიურ თამაშებში ფსიქოლოგიურ მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ კი, მართლაც, გამობრძმედილი ვიყავი, რადგან საკავშირო პირველობებზე უამრავ უსამართლობას ვუძლებდი... მთელი სპორტული კარიერა, ლამის, დაკერებული ქაცვიანი ფეხსაცმლებით გავატარე, მონდომების, ჟინისა და ტექნიკის ხარჯზე ვაღწევდი წარმატებებს. სინანულიცა და წყენაც ბევრი მახსოვს. დღეს ჩვენი სპორტსმენები ბედნიერი არიან – ოდნავ შედეგს თუ აჩვენებენ, იოლად შეუძლიათ მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე გამგზავრება. საბჭოთა პერიოდში ქართველები სხვებზე მთელი თავით მაღლა თუ არ ვიდექით, საკავშირო ნაკრების სიახლოვესაც არავინ გაგვაჭაჭანებდა.

ვინ იცის, რამდენი ხელოვნური ბარიერის გადალახვა გვიხდებოდა. მახსოვს, 1957 წელს საკავშირო პირველობა თბილისში ჩატარდა. საქართველოს ნაკრები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა. შეჯიბრების დღეს საწოლზე წამოწოლილი ველოდებოდი სტადიონზე გამგზავრებას. ხანგრძლივმა სიჩუმემ დამაეჭვა. გარეთ გამოვედი და რას ვხედავ – კაცი შვილი არ არის. სხვა გზა არ იყო, მარტო უნდა წავსულიყავი სტადიონზე. ქუჩაში მანქანებიც არ მოძრაობდნენ – სპორტულ სიარულში შეჯიბრების გამო გზები გადაეკეტათ. როგორც იქნა, მივაღწიე „დინამომდე“. ძლივს დამიშვეს საასპარეზოდ. მერე გაუგონარი რამ მოხდა: ძლიერი სპორტსმენი იყო იგორ კაშკაროვი, მელბურნის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი, მაგრამ ხშირად თაღლითობასაც არ თაკილობდა. მსაჯებმა თბილელმა მობილიზება ვერ შევძელი და მეორე ადგილს დავჯერდი. სამაგიეროდ, მერე რამდენჯერმე ვძლიე, 1959 წელს ფილადელფიაში ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა მატჩზეც ვაჯობე...

„ფორო იტალიკოზე“ საკუთარი „შპარგალკით“

გამობრძმედილ 27 წლის ქართველ სპორტსმენს რომის ოლიმპიურ სტადიონზე, მართლაც, ნერვიც არ ატოკებია. ფავორიტებმა შეჯიბრება 190 სანტიმეტრით დაიწყეს, მერე 195 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლნენ, შავლაყაძემ ორივე სიმაღლეზე უარი თქვა და იქვე სარბენ ბილიკებზე სპრინტერთა შეჯიბრების საყურებლად შებრუნდა.

– რობერტ, რას შვრები? – უყვირა ტრიბუნიდან ვლადიმირ დიაჩკოვმა. შავლაყაძეს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია – საკუთარი „შპარგალკით“ მოქმედებდა. კონკურენტები 2 მეტრზე რომ ავიდნენ, მაშინ გამოიყენა პირველი ცდა. მერეც წარმატებით დაძლია 203, 206, 209, 211 სანტიმეტრი...

სასწაულის მოლოდინში ბობოქრობდა „ფორო იტალიკო“. ჯონ თომასი, რომელმაც ოლიმპიადამდე თვენახევრით ადრე მსოფლიოს რეკორდი (222) დაამყარა, ასევე, 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჩარლზ დუმასი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვიქტორ ბოლშოვი და ევროპის რეკორდსმენი (217) ვალერი ბრუმელი საკუთარ თავს აღარ ჰგავდნენ. შავლაყაძე კი, ქომაგთა გასაკვირად, ყველა სიმაღლეს პირველსავე ცდაზე იღებდა. ბოლშოვი 214 სანტიმეტრზე გაჩერდა, ხოლო მელბურნის ოლიმპიადის გმირმა უფრო ადრე გადაინაცვლა მაყურებლებში.

– მსოფლიოს რეკორდსმენმა 212 სანტიმეტრი გამოტოვა, მე კი ისიც და 214-იც პირველივე ცდით ავიღე. ბრუმელსა და თომასს ამ სიმაღლის დასაძლევად ორ-ორი ცდა დასჭირდათ. 216 სანტიმეტრიც პირველმა დავძლიე, რაც მაშინ ოლიმპიური რეკორდი იყო. ბრუმელმა განმეორებითი ნახტომით შეძლო თამასას გადავლებოდა და ვერცხლის მედალი ერგო. თომასი 214 სანტიმეტრზე დარჩა. სწორედ რომ ფსიქოლოგიურმა მომზადებამ, ცხადია, ფიზიკურთან და ტექნიკურთან ერთად, ამიყვანა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე...

რომის ოლიმპიურ სტადიონზე მოპოვებული გამარჯვება რობერტ შავლაყაძისთვის შემთხვევითი არ ყოფილა. ამერიკელთა ჰეგემონიას მან ერთი წლის წინათ ფილადელფიაში შეურყია ტახტი: 1959 წელს აშშ-ს და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული „გიგანტთა მატჩი“ გაიმართა. ტურნირის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკელებმა ამაყად განაცხადეს – სიმაღლეზე ხტომა ჩვენი სახეობაა და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩებაო. ტრაბახის საბაბიც ჰქონდათ – ამერიკელთა სპორტულ ღირსებას ოლიმპიური ჩემპიონი და რეკორდსმენი (214 სმ) ჩარლზ დუმასი იცავდა, მაგრამ ქადილი ქადილად დარჩა – პირველი ადგილი შავლაყაძემ დაიკავა, რომელსაც მაშინ მოკრძალებული შედეგი ჰქონდა – სულ 208 სანტიმეტრი. სპეციალისტებმა და მასპინძლებმაც ქართველის გამარჯვება შემთხვევითობას მიაწერეს. იხტიბარი არ გაიტეხეს და რომში შეეხვდებითო, დაიქადნეს. მართლაც შეხვდნენ მარადიული ქალაქში.

„ფორო იტალიკოზე“ ქართველ მძლეოსანს მაყურებლისგან არნახული მხარდაჭერა ჰქონდა. ყველას უკვირდა ეს. საიდუმლო მეორე დღეს იტალიურ გაზეთებში გამჟღავნდა: „რობერტ შავლაყაძე რომის XVII ოლიმპიადის ჭეშმარიტი გმირია. ამ 27 წლის შავგვრემანმა ულვაშა სპორტსმენმა, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავს იტალიელს, შეუძლებელი შეძლო“... „სიმაღლეზე ხტომის ოქროს წიგნში დღემდე არ იყო არც ერთი ევროპელის სახელი. თბილისელმა რობერტ შავლაყაძემ ახალი ფურცელი ჩაწერა ამ მატიანეში“...

ერთი საინტერესო ეპიზოდიც: ასპარეზობის დამთავრებისთანავე შვედეთის რადიოს კომენტატორი საბჭოთა ჟურნალისტ ნიკოლაი ოზეროვს კაბინაში შეჭრია და აღფრთოვანებულს უთქვამს: „ჩვენ მივეჩვიეთ, რომ თქვენ შესანიშნავ წარმატებებს აღწევთ კოსმოსში, რაც დღეს რომის სტადიონზეც დადასტურდა. ოლიმპიურ სარბიელზე მართლაც უშეღავათო ბრძოლა იყო კოსმოსისთვის, ოღონდ სიმაღლეზე ხტომაში“. ამ დროს კი სარბენ ბილიკებს მიღმა მწვერვალზე მდგომ სახეგაბადრულ ქართველ ვაჟკაცს ოდნავ დაბნეული ღიმილით მისჩერებოდა კვარცხლბეკის ქვედა საფეხურზე მდგარი ჯონ თომასი.

ნაბიჯ-ნაბიჯ კვარცხლბეკისკენ

და მაინც... ოლიმპიური ჩემპიონები შემთხვევით არ ხდებიან: რობერტ შავლაყაძე ამერიკელთა ჰეგემონიის დასამხობად ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა. ბავშვობისას თანატოლებისგან მხოლოდ სისხარტით თუ გამოირჩეოდა. ცურვაც სხვებივით მტკვარზე ისწავლა, ერთხანს რინგზეც მოსინჯა თავი, ტანვარჯიშსა და ცხენოსნობაზეც დადიოდა, მძლეოსნობაზე კი არასდროს უფიქრია.

მეცხრე კლასში უცებ აიყარა ტანი და კლასელებს საგრძნობლად გაუსწრო სიმაღლეში. სწორედ იმ წელიწადს საქალაქო პირველობისთვის ემზადებოდნენ და ფიზკულტურის მასწავლებელმა უთხრა, სიმაღლეზე ხტომაში უნდა გამოხვიდეო.

-ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე – სად მე და სად სიმაღლეზე ხტომა-მეთქი, - ღიმილით იხსენებს ბატონი რობერტი ბავშვობის წლებს. – საქმეში სკოლის დირექტორი ჩაერია და დამიყოლიეს. 155 სანტიმეტრით გავიმარჯვე. შეჯიბრებას მძლეოსნობის ცნობილი მწვრთნელი გაბრიელ ათანელოვი ესწრებოდა. იმ დღიდან მან თავის ჯგუფში ჩამრიცხა. ორი თვის შემდეგ საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე 170 სანტიმეტრით ვაჯობე ყველას. მაშინ სიმაღლეზე „გადაბიჯებით“, „ტალღისებურად“, „ხორეინით“ ან „გადაგორებით“ ვხტებოდით. ოთხივე სტილი ძალიან რთული იყო, მაგრამ მალე შევეჩვიე. 1954 წელს ხარკოვში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა 190 სანტიმეტრით მოვიგე. ეს მაშინ კარგი შედეგი იყო და საკავშირო ნაკრებში მიმიწვიეს, თან სტიპენდია დამინიშნეს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ომისშემდგომ წლებში ყველას უჭირდა, მათ შორის ჩვენს ხუთშვილიან ოჯახსაც და, წარმოიდგინეთ, როგორ მხსნელად მოვევლინე მშობლებს, კაცად ვიგრძენი თავი.

ქართველ მძლეოსანს იდეალებისთვის არც ოლიმპიადის მერე უღალატია და შეჯიბრებებში ღირსეულად განაგრძობდა მონაწილეობას: 1962 წელს ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, ორი წლის შემდეგ იმხანად მსოფლიოს ექვსგზის რეკორდსმენ ვალერი ბრუმელს აართვა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი. სოციალისტური ქვეყნების თამაშებზე შვიდჯერ ოქროს მედალი დაიმსახურა. მეტოქეებს მისი ეშინოდათ. ერთხელ ბრუმელს უთქვამს, სადაც შავლაყაძე მონაწილეობს, იქ გამარჯვება მიჭირსო.

ყოველივეს მიუხედავად, ნაკრების ლიდერის სწამდათ და სჯეროდათ თანაგუნდელებს, რადგან იგი, ზოგიერთისგან განსხვავებით, არ იყო ეგოისტი, შურიანი ადამიანი. სხვის წარმატებას საკუთარ გამარჯვებად აღიქვამდა, ზრუნავდა თანაგუნდელებზე. დასტურად 1964 წლის ოლიმპიადის გახსენებაც კმარა. თამაშებზე ქართველი მძლეოსანი საკმაოდ მომზადებული გაემგზავრა, საპრიზო სამეულში მოხვედრაზეც ფიქრობდა, მაგრამ...

– მაშინ სპეციალისტები ფავორიტად მიმიჩნევდნენ. მართლაც, კარგად ვიყავი მომზადებული. ვარჯიშებზე 220 სანტიმეტრსაც იოლად ვიღებდი. სამწუხაროდ, ტოკიოში ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ საბედისწერო შეცდომა დავუშვი – ცივ აუზში ვიცურავე და წყლიდან გაშეშებული ამოვედი. მეორე დილით სპორტული სამოსი ვალერი ბრუმელმა ჩამაცვა, რომელიც ჩემთან ერთად ცხოვრობდა ნომერში. წელში ვერ ვიმართებოდი. ყოველი ხტომის წინ ბალახზე გავწვებოდი და ბრუმელს ვთხოვდი, ფეხებით ზურგზე შემდგომოდა. საბოლოოდ 214 სანტიმეტრით მე-5 ადგილი დავიკავე...

ახლა კი ვალერი ბრუმელს მოვუსმინოთ. აი, რას წერს იგი ავტობიოგრაფიულ წიგნში „სიმაღლე“.

– მომიახლოვდა რობერტ შავლაყაძე და მეუბნება:

– ხომ არ გადაირიე? ეს ხომ მხოლოდ 203 სანტიმეტრია... გესმის, 203! ამ სიმაღლეს, თუ მოინდომებ, ადგილიდანაც დაძლევ!

ბრუმელს იგივე დაემართა 214 სანტიმეტრზეც – ორჯერ ჩამოაგდო თამასა.

„რობერტი, როგორც ჩრდილი, ისე დამდევდა ყველგან. იცოდა, რომ მე შემეძლო გამარჯვება და საამისოდ ყველაფერს აკეთებდა... იგი მეუბნებოდა: შენ, მხოლოდ შენ შეგიძლია ამ ოლიმპიადის მოგება, მე კი არა, მე ჩემი უკვე გავაკეთე... უღრმესი მადლობა რობერტს“. 218 სანტიმეტრით რუსი მძლეოსანი ჩემპიონი გახდა. სხვებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ბრუმელის 1964 წლის ოლიმპიურ ოქროში შავლაყაძეს ლომის წილი უდევსო.

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ბატონმა რობერტმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ოთხი წელიწადი კონგოში იმუშავა. მისმა შვიდმა შეგირდმა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა. კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა შინ დაბრუნება არჩია. 13 წელიწადი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ფიზაღზრდის კათედრას ხელმძღვანელობდა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ გაჯანსაღებას პატიოსნად ემსახურა. სპორტის დამსახურებული ოსტატი რობერტ შავლაყაძე დღემდე „სპორტის დედოფლის“ სიყვარულით ცოცხლობს.

ვაჟა დანელია

სურათებზე: რობერტ შავლაყაძის ოქროს ნახტომი; კვარცხლბეკზე – ჯონ თომასი, რობერტ შავლაყაძე, ვალერი ბრუმელი.

◎ გვეხმაურებიან

პატრიოტია თაობა

პატივცემულო რედაქცია! – 2016 წლის 20 თებერვალს „საქართველოს რესპუბლიკის“ 33-ე ნომერში გამოქვეყნდა ბატონ დავით მხეიძის მოგონებები ანანია სალუქვაძეზე და ანანია სალუქვაძის ლექსები, რაც ძალზე საინტერესო მოვლენაა.

ანანია სალუქვაძის ლექსებიდან, რაც ძალზე საინტერესო მოვლენაა.

ანანია სალუქვაძე იყო მართლაც ნიჭიერი შემოქმედი – პატიოსანი, პატრიოტი ოჯახის შვილი, ჭეშმარიტი ინტელექტუალი.

ანანია სალუქვაძეს 1990 წლიდან ვიცნობდი. იგი მაშინ იყო საქართველოს მთავარრეკლამის განყოფილების ხელმძღვანელი, ტანმაღალი, შავგვრემანი, 34 წლის ვაჟკაცი. 1990 წლის თებერვალში მას და მის ახლობელს – პოეტ მამუკა სალუქვაძეს (აწგარდაცვლილს) დაეკარგათ (ტაქსში დარჩათ) მათი ბებიის – XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი მოღვაწის, უფროსი ანანია სალუქვაძის პროზაული ნაწარმოები –„ბანდიტი“, რომელიც გამოსაქვეყნებლად მიჰქონდათ და რომელშიც ნათლად იყო ასახული XX საუკუნის დასაწყისის თბილისისა და საქართველოს ცხოვრება. თვით ნაწარმოები ერთ კრიმინალურ პირზე –„ბანდიტზე“ მოგვითხრობდა. თვით ანანია სალუქვაძემ 1990-91 წლებში თავისი სცენარით და აგრეთვე პროფესორ გურამ ჩხაიძის დახმარებით, რომელიც ასევე გარდაცვლილია, გადაიღო დოკუმენტური ფილმი –„ანანია სალუქვაძე“ – პაპამისზე, ცნობილ მოღვაწეზე, რომელიც 1918-21 წლების საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრი იყო. იგი ემიგრაციაში არ წასულა და ბოლშევიკების რეპრესიებს ემსხვერპლა. დოკუმენტურ ფილმში, რომელიც თვითონ ანანიამ მაჩვენა 1991 წლის აგვისტოში, ძველ კინოსტუდიაში, ბრწყინვალედ იყო ასახული 1918-21 წლების პერიპეტიები და 1921 წლის თებერვლის ბრძოლები ტაბახმელასთან. ეს იყო ძალზედ ღირებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც დოკუმენტური ფილმების სტუდიას უნდა ჰქონდეს. ასევე უფროსი ანანიას არქივი – ნაწერები, მოგონებები. ანანიამ გადასცა ე.წ. „იმელის“ არქივს, რომელიც, სამწუხაროდ, 1991-92 წლებში თბილისის ომის დროს განადგურდა. რამდენადაც მახსოვს, მასვე ჰქონდა ჩანაწერები, მოგონებები, მამამისის, ცნობილი პიროვნების შოთა სალუქვაძის შესახებაც.

დიდი მადლობა რედაქციას, პირადად დავით მხეიძეს, რომელიც არ ივიწყებს ანანიასნაირ ვაჟკაცებს.

პატივისცემით
დავით სანდოძე,
პროფესორი.

◎ ჩვენი მომავალი

მოჭიკჭიკე „ჩიორები“ და ნორჩი სპორტსმენები

დიდუბის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში 300-მდე ბავშვი მეცადინეობს. აქ ფუნქციონირებს სხვადასხვა დასახელების წრეები, სადაც მოზარდები ეუფლებიან უცხო ენებს, მათემატიკას, მხატვრულ ტანვარჯიშს, ქართულ ხალხურ ცეკვებს, აღმოსავლურ ორთაბრძოლებს, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრას...

მარიკა ბესიტაშვილი პატარა „ჩიორებთან“

განსაკუთრებით გამოირჩევა ანსამბლი „ჩიორა“, რომელსაც კომპოზიტორი მარიკა ბესიტაშვილი ხელმძღვანელობს. ბავშვები სწავლობენ ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების სიმღერებს, მონაწილეობენ კონცერტებში, ფესტივალებსა და კონკურსებში, არაერთ ტელეგადაცემაში ყოფილან მიწვეული...

ბელა თევზაძე თავის აღსაზრდელებთან ერთად

მხატვრული და გამაჯანსაღებელი ტანვარჯიშის წრეს კი ცნობილი ტანმოვარჯიშე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბელა თევზაძე უდგას სათავეში. აქ ბავშვები არა მხოლოდ ტანვარჯიშის ხელოვნებას და სპორტულ ილეთებს ეუფლებიან, არამედ მკურნალობენ ხერხემლის გამრუდებას, სკოლიოზს და ა. შ.

ათამდე დასახელების ჯგუფია დიდუბის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, სადაც პროფესიონალი და მოტივირებული პედაგოგების წყალობით, მართლაც რომ, განათლებული და ჯანსაღი თაობა ეზრდება საქართველოს!!!

თეა მოსია

რედაქცია **მაჩაბლის ქ. №7.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ **293-37-87**

სანთელი

ელენე ჭავჭავაძე

წავიდა ამქვეყნიდან კიდევ ერთი შესანიშნავი ქალბატონი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ელენე (ლიკა) ჭავჭავაძე. დაუვიწყარი თამარ ჭავჭავაძის ასული დედის ღირსეული მემკვიდრე გახლდათ. რუსთაველის თეატრში განვლო ქალბატონმა ლიკამ თავისი შემოქმედებითი გზა. ამ სცენაზე შექმნა არაერთი დასამახსოვრებელი სახე. იგი რუსთაველის თეატრის ტრიუმფის მომსწრე და მონაწილეა. გულითად და სიკეთით აღსავსე ქალბატონს დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ კოლეგები. მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს გულებში.

რუსთაველის თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი ლიკას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

რუსთაველის თეატრი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს კოლეგას, გაზეთის კომპიუტერული ცენტრის თანამშრომელს შორენა გვილიას მამიდაშვილის

ტუტუ კუდავას

გარდაცვალების გამო.

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

- **რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია** – მეცნიერ-თანამშრომელი, 1 ერთეული „ა“ კატეგორია;
- **გენომის სტრუქტურის და ფუნქციის ლაბორატორია** - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1 ერთეული „ბ“ კატეგორია.
- **ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია** – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 1 ერთეული „ა“ კატეგორია;
- **რადიობიოლოგიის განყოფილება** – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 1 ერთეული „ა“ კატეგორია.

მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განცხადება, განყოფილების/ლაბორატორიის, დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;
4. დიპლომების ასლები;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, თეზისები);
6. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების ასლები, საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
7. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;
8. არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;
9. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2016 წლის 12 აპრილიდან 2016 წლის 19 აპრილის ჩათვლით;
10. კონკურსის ჩატარების თარიღია 2016 წლის 21 აპრილი;
11. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქ. №14, II სართული, კანცელარია

საკონტაქტო პირი – ნინო ემუხვარი, ელმირა მეგედი, მარიამ ირემაშვილი;
e-mail – secretary@lifescience.org.ge
ტელ: 2 37 12 31, 2 37 11 65, 2 37 11 78.

◎ მარხვა და დიეტა

უსაფრთხოა თუ არა მარხვის დაცვა ჯანმრთელობისთვის?

ჭარბი წონის დაგდებას ყველა მსუქანი ადამიანი ცდილობს, ბევრნი ამ მიზნით დროდადრო საეკლესიო მარხვებსაც იცავენ, თუმცა კი თავად რელიგიური მოტივაცია მათ მოქმედებაში ნაკლებადაა. ამასთან, ბევრს აინტერესებს, რამდენად უსაფრთხოა საეკლესიო მარხვების დაცვა ჯანმრთელობისთვის?

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ მორწმუნეთათვის მარხვის სიმკაცრე ხშირად ინდივიდუალურად განისაზღვრება, არსებობს ხალხის კატეგორიები, რომლებსაც მამაოების კურთხევით, მარხვის დროსაც შეუძლიათ ცხოველური წარმოშობის საკვების მიღება – ესენი არიან **ფეხმძიმე ქალები, ავადმყოფები, დასუსტებული ადამიანები, სტუდენტები საგამოცდო სესიების დროს.**

საერთოდ, მარხვა და კვებასთან დაკავშირებული ზოგიერთი რელიგიური შეზღუდვა, მათ სულიერ მდგენელთან ერთად, რომელსაც ზოგიერთნი, შესაძლოა, სრულიად არ იზიარებდნენ, დიდი პრაქტიკული არსის მატარებელია. ერთმანეთზე მჭიდროდ გადაბმული **რელიგია და კვების ტრადიცია, გვართა, ტომთა, მთლიანად ერთა გადარჩენაზე და, საბოლოო ანგარიშით, მისი თითოეული ცალკე აღებული წევრის ჯანმრთელობის დაცვაზეა მიმართული.**

მაგალითად, ებრაელთა ქაშერი საკვები, როდესაც რძის კერძის მომზადება ხორცისთვის განკუთვნილ ჭურჭელში დაუშვებელია, არსებითად, ჰიგიენური ნორმაა, რომელიც თბილ და, მითუმეტეს, ცხელ

კლიმატურ პირობებში ყველა დიასახლისმა უნდა დაიცვას, რათა ოჯახის არც ერთი წევრი არ მოიწამლოს და გვარის გაგრძელება შეძლოს. იმ დროს, როცა ეს დოგმა დგინდებოდა, მაცივრები არ არსებობდა, ცივი კლიმატის პირობებში კი, სადაც საყინულის მოწყობა სავსებით შესაძლებელია, უკვე სხვა წესები და რეკომენდაციებია.

ქალაქში მცხოვრებისთვის ეს ნაკლებადაა თვალში საცემი, მაგრამ დაკვირვებული კაცი მაინც აუცილებლად შეამჩნევს, **რომ ქრისტიანული მარხვები უარესად მოხერხებულადაა მორგებული შესაბამის პერიოდებზე.** მაგალითად, საშობაო მარხვისას, რომელსაც მორწმუნენი შუა ზამთარში იცავენ, არ შეიძლება რძისა და ხორცის მირთმევა, სამაგიეროდ, ნებადართულია თევზის ჭამა. ამ დროს ძროხები შეუდარებლად ცოტა რძეს იძლევიან, ასევე გაზაფხულზე მათგან ნამატს ელოდნენ, ამდენად სახორცედ მათი დაკვლაც არ იყო მიზანშეწონილი. სამაგიეროდ, თევზი საყინულეებში მშვენივრად ინახებოდა, თანაც ის მრავლად იყო.

აღდგომის დიდი მარხვა კი გაცილებით მკაცრია: ცხოველური წარმოშობის ყველა სახეობის საკვებზე აკრძალვას თევზეულზე აკრძალვაც ემატება. ან კი საიდან უნდა მოეტანა ხალხს იმ დროს თევზი? ის, რომელიც შემოდგომაზე იყო დაჭერილი, უკვე შეჭმული ჰქონდათ, ადრე გაზაფხულზე კი ტბები და მდინარეები ბევრგან ჯერ კიდევ ყინულით იყო დაფარული, თანაც ქვირითობის პერიოდი დგებოდა... ასე რომ, ყელაფერი ლოგიკის შესაბამისად იყო გაწერილი.

ისიც უნდა ითქვას ხაზგასმით, რომ სამეცნიერო მონაცემები და კვების თაობაზე სამედიცინო რჩევები საღ აზრს არ ეწინააღმდეგებიან და რელიგიურ წესებს იმეორებენ: **ძირითადად უნდა მივიღოთ ჩვენთვის ჩვეული ახალი სეზონური სურსათი და ხილი, თუმცა იმპორტულ ბოსტნეულსა და ხილს მაინც უმჯობესია, ვერიდოთ! აღსანიშნავია, ისიც, რომ მაცივრების გამოგონებასთან ერთად გაჩნდა კიდევ ერთი სამედიცინო რჩევა: შორიდან ჩამოტანილს, უმჯობესია, ადგილობრივი გაყინული ხილისა და კენკრის ჭამა!**

დიეტოლოგები დაბეჯითებით გვირჩევენ, რომ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი ხილ-ბოსტნეულის მოხმარების პრაქტიკას დავუბრუნდეთ, თუნდაც მწვანილი მაინც მოვიყვანოთ აივანზე. ეკონომიკური შეღავათის გარდა, ამას ჯანმრთელობისთვისაც მრავალი სარგებლის მოტანა შეუძლია. თანაც, ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი პრინციპულად უკეთესია, ვიდრე ქარხნული ნახევარფაბრიკატები, რომელთა მოხმარებას, უმჯობესია, თავი ავარიდოთ.

ოთარ ტურაბელიძე

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ფხიზელი რუსეთი

ფედერალური პროექტის „ფხიზელი რუსეთის“ ფარგლებში საინფორმაციო კომუნიკაციების ცენტრის „რეიტინგის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე ნაკლებ ალკოჰოლს რეგიონებიდან ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში მოიხმარენ.

კვლევისას გაითვალისწინეს ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რიცხოვნობა, არყისა და ლუდის გაყიდვების მოცულობა, ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის ძალა, ასევე საექსპერტო შეფასებები.

მოსკოვი და სანკტ-პეტერბურგი, შესაბამისად, მე-4 და მე-5 ადგილებზე გავიდნენ, ხოლო დანარჩენ „ფხიზელ“ რეგიონებს შორის არიან როსტოვის ოლქი, სევასტოპოლი, ყაბარდო-ბალყარეთი, ვოლგოგრადის ოლქი და კრასნოდარის მხარე. ბოლო სამ ადგილზე კი არიან მაგადანი, ასევე ნენცების ავტონომიური და ებრაელთა ავტონომიური ოლქები.

ახლა უკვე უნემსოდ

მეცნიერებმა ხერხს მიაგნეს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია დიაბეტიანი ავადმყოფებისთვის ინსულინის ყოველდღიური ინიექციების აცილება.

უწინ მიჩნეული იყო, რომ ინსულინის აბებით მიწოდება შეუძლებელია იმის გამო, რომ ის კუჭში მანამდე იშლება, ვიდრე სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვდება. ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს პოლიმერის კაფსულა, რომელიც კუჭის მჟავე გარემოს უძლებს და ინსულინს დანიშნულების ადგილზე აწვდის.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ფერმაში ცხენი დაავადდა.

– თუ დილისთვის არ ადგება, მე მას დავაძინებ, – ამბობს ვეტექიმი.

ცხენი დილით არ ადგა.

– მეგობარო, ადექი, თორემ მოგკლავენ, – ეუბნება მას გვერდით მწოლი ბურვაკი.

ცხენმა თავს ძალა დაატანა და წამოდგა.

– ეს ნამდვილი საოცრებაა, – ამბობს გახარებული ფერმერი, – და უნდა აღვნიშნოთ – ბურვაკი უნდა დავკლათ ამის აღსანიშნავად.

მორალი: სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფ.

* * *

ცოლი სასეირნოდ აპირებს გასვლას.

– ბარემ აფთიაქში შეიარე და პრეზერვატივები იყიდე, – ეუბნება ქმარი.

– ოი, არა, არ შემიძლია. ყველა მიხვდება, რისთვისაც მინდა. მრცხვენია. არა, არაფრით არ შემიძლია, მრცხვენია.

ქუჩაში ორი ბავშვით სიარულის არა გრცხვენია?

* * *

– **ძალიშვილო**, რას აკეთებთ საღამოს?

– დივანზე ვწევარ.

– მაშინ იქნებ სადმე წავსულიყავით?

– შენ რა, გამოთაყვანდი? ხომ გითხარი, დაკავებული ვარ-მეთქი.

* * *

– **ამ** ნაძირალამ, ბოზი ხარო, მითხრა! – დაიჩივლა სვეტამ დაქალთან.

– ღმერთო ჩემო! მერე შენ რა ქენი?

– ვუთხარი, ახლავე გაეთრიე ჩემი საძინებლიდან და შენი ძმაკაციც თან გაიყოლიე-მეთქი.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!